

ნიკო აბოიანიძე

K 1240
h 10


სურათები ცხოველთა სამყაროდან



ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

087-115

ნიკო აბოიანიძე



სართავი


ცხოველთა სამყაროდან

გადმოკეთებული
რუსულიდან

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბჭოთა კავშირის
თბილისი

K1240
ca

შ.5-2019-18143



- 087.5 : 59

საზღაპო ანაკინათონ

მნატმარი ა. კანდუქაკი

1. ცხოველთა გონიერება

ცხოველებში გონიერებით ყველაზე უფრო მაღლა მაიმუნები დგანან. მაიმუნთაგან კი ადამიანს, როგორც გონიერებით ისე სხეულის აგებულებით უფრო უახლოვდებიან ორანგუტანგი და შიმპანზე და ამით ადამიანის მსგავს მაიმუნესაც კი უწოდებენ.

მაიმუნებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, უყვართ ერთად ცხოვრება და ისინი კარვადაც იცავენ საერთო ინტერესებს. ისინი ხშირად თავგამოდებით ებრძვიან ისეთ მტერსაც კი, რომელიც იმათზე უფრო ძლიერია. მაიმუნები ცნობილი არიან აგრეთვე შვილებისადმი უსაზღვრო სიყვარულით და სუსტებისა და ახალგაზრდებისადმი „გულშემატკივრობით“.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ მაიმუნს ბევრი ცუდი მხარეც ახასიათებს: ცბიერება, ვერაგობა და ავზიანობა თანდაყოლილი თვისებაა თითქმის ყველა მაიმუნისა;—მაიმუნმა იცის ავის დამახსოვრება, სამაგიეროს გადახდა და სხვა, მაგრამ მაიმუნს ამავე დროს გულითადი სიყვარული და მეგობრობაც შეუძლია იმისა, ვინც მას ჯარვად ეპყრობა.

მეცნიერ კაუვიეს ჰყავდა ახალგაზრდა ორანგუტანგი, რომელსაც ძალიან უყვარდა ხეებზე აბობღება და ზედ ჯდომა. ერთხელ, როდესაც ორანგუტანგი ხის კენწეროზე იჯდა, ვიღაცამ დააპირა მახლობელ ხეზე ასვლა და თავი ისე მოაჩვენა მაიმუნს, თითქოს მისი დაჭერა უნდოდა. მაიმუნმა, როგორც კი დაინახა ხეზე ამავალი ადამიანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყო ხეს რხევა, რომ ამით შეეშინებინა მისკენ მიმავალ რუცნობი. მოშორდებოდა თუ არა ადამიანი ხეს, მაიმუნიც დაწყნარდებოდა, როგორც კი ადამიანი ხეს მიუახლოვდებოდა და დააპირებდა ზედ ასვლას, მაიმუნი ხელახლა იწყებდა ხის რხევას.

ერთ ამერიკელს ჰყავდა კუნძულ ბორნეოდან მოყვანილი ორანგუტანგი, რომელსაც სახელად სამბო დაარქვა. პატრონმა სამბოს ჰამის

დროს კოვზის ხმარება ასწავლა იმით, რომ საქულის ძლევა დაუწყო ძალიან ღრმა ჯამში. სამბო თავდაპირველად ერთ შეცდომას უშვებდა: ჯამიდან კოვზით ამოღებულ საქმელს ჯერ მაგიდაზე დადებდა და მერმე თითებით პირში ჩაიდებდა, როგორც ეს პატარა ბალებსაც ხშირად სჩვევიათ ხოლმე. პატრონმა თავისი მოწაფე მაიძუნი მალე გადააჩვია ამ შეცდომას. ჭამის დროს სამბოს გვერდით მოუსვამდა მშიერი მაიმუნს. როგორც კი სამბო ჯამიდან ამოღებულ საქმელს მაგიდაზე დადებდა, მისი მშიერი მეზობელი ხელს დასტაცებდა და შეუჭამდა. სამბოს მეზობლის საქციელი, რასაკვირველია, არ მოეწონა, მალე შეიგნო შეცდომა და თავის მოძმეს მოხერხებით აჯობა იმით, რომ კოვზით ამოღებულ საქმელს პირდაპირ პირში დაუწყო გზავნა.

ტანისამოსის საჭიროება სამბომ „შეიგნო“ მაშინ, როდესაც პატრონმა იგი კარგა ხანს ამყოფა სიცივეში და შემდეგ ტანისამოსი ჩააცვა, მაგრამ ქუდის დახურვას დიდხანს ვერ შეაჩვია. ქუდი სამბოს ძალიან ეჯავრებოდა, მისი დანახვაც კი არ შეეძლო გულგრილად. პატრონმა გადაწყვიტა კიდევ, რომ მაიმუნს ქუდის დახურვას ვერ შეაჩვევდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გამოიყვანა იგი ამ ზღვარგაღმართიდან. ერთ დღეს, როდესაც ძალიან ცხელოდა, პატრონმა შენიშნა, რომ სამბოს ბუზები მეტისმეტად აწუებდნენ და თავის დასაფარავად ტანისამოსის კალთებს ზევით იწვედა. ამის დანახვაზე პატრონს ასეთი აზრი მოუვიდა: მაიმუნს თავზე ბადაგი წაუსვა. რასაკვირველია, ცხოველს თავზე აუარებელი ბუზი დაეხვია. ამ ტანჯვაში იგი დიდხანს ამყოფა და შემდეგ ქუდი დაახურა. ამის შემდეგ მაიმუნმა ქუდის საჭიროება შეიგნო და კიდევ შეეჩვია მის ხნარებას. სამბო სხვის დაუხმარებლად იცვამდა ტანისამოსს, სადილობის დროს თავისთვის სკამსაც მოიტანდა და პატრონის ოჯახთან ერთად სადილობდა, — თანაც მოხერხებულად აიფარებდა მკერდზე ხელსახოცს, როგორც ეს მიღებულია საზოგადოდ სადილობის დროს.

ერთ ჰოლანდიელს ჰყავდა მაიმუნი, რომელიც წყლის დაღვეის შემდეგ ტუჩებს ხელით მოიწმენდა და ჭამის შემდეგ კბილის საჩირჩქნსაც ისე მოხერხებულად ხმარობდა, როგორც ადამიანი. მაიმუნს ძალიან უყვარდა ქურდობა და მოხერხებულად ამოაცოცებდა ხოლმე ადამიანს ჯიბიდან, თუ კი რამ პირის ჩასატკბანურებელი ეგულებოდა.



საზოგადოდ მაიმუნები ძალიან მოყვარულნი არიან ქურდბაცა-
ცობისა, მაგრამ — ვაი იმ ცხოველს, რომელიც მოისურვებს ისარგებ-
ლოს თუნდაც ერთი ფოთლით ტყის იმ უბნიდან, სადაც მაიმუნები
დაბინავდებიან. აქეთ თავხედს, ლომი იქნება იგი თუ სპილო, არ
ასცდება მაიმუნების რისხვა, ამ მხრივ მაიმუნები ძალიან ჰგვანან
ველურებს. როდესაც მეცნიერმა სტენლიმ ჰკითხა ველურს, რა
ითვლება თქვენში კეთილშობილურ საქციელადო, მან უპასუხა: სხვი-
სი ცოლის მოპარვაო, წინააღმდეგი საქციელი კი, ე. ი. თუ ჩვენ
მოგვპარეს ცოლი, ძალიან არაკეთილშობილურიო.

მეცნიერ ბრეს ჰქავდა დედალი მაიმუნი, რომელსაც მოლლის
ეძახდა. ეს მაიმუნი, როდესაც იგი ბრემმა შეიძინა პატარა და
ავადმყოფი იყო. ბრემმა იგი მოარჩინა და თავის შვილებთან ერთად
ზრდიდა.

ოჯახში ამ მაიმუნს ვაჟებზე უფრო ქალები შეუყვარდა. ვაჟებს
მაიმუნი ხშირად ეჩხუბებოდა და როდესაც მას რაიმეში ვერ ასია-
მოვებდნენ მათრახითაც სცემდა, ქალებთან კი ძალიან ალერსიანი
იყო და მისალმებისას ცათ ხელსაც გაუწოდებდა ხოლმე.

ერთხელ მაიმუნი რალაცაზე გაუჯავრდა ბრემის ერთ-ერთ ქალი-
შვილს და მათრახით უკან დაედევნა. ბრემმა, დაინახა თუ არა ეს,
მაიმუნს მიაძახა: — მოლლი, რას ჩადიხარ, ეგ ხომ ქალიშვილიაო!
ამის გაგონებაზე მაიმუნი თითქოს გამოერკვა, მათრახი გადააგდო,
მივიდა ქალიშვილთან და ალერსიანად ხელი გაუწოდა.

ერთი მეცნიერი მოგვითხრობს, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის მთებში
ცხოვრობენ განსაკუთრებული ჯიშის მაიმუნები, რომლებიც თიხის
ჭურჭლებს აკეთებენ და ამ ჭურჭლებში ერთგვარი მთის — ხილიდან
„ღვინოს“ ამზადებენ.

ერთხელ ასეთი მაიმუნების გროვას, საცხოვრებელი ადგილის
გამოცვლის დროს, მოუხდა სოფელზე გავლა. ბავშვებმა დაინახეს
თუ არა მაიმუნები, დაცხეს ყიყინა და ტაშისცემა, მაიმუნები შე-
შინდნენ, წამოავლეს ხელი თავიანთ შვილებს და მოჭკურცხლეს,
ადგილზე კი მიატოვეს თიხის ჭურჭლები. სოფელელებმა ჭურჭლებში
აღმოაჩინეს ორი ხარისხის „ღვინო“. ამ „ღვინოს“ მაიმუნები თურმე
საზამთროდ ამზადებენ, როდესაც წყალი თითქმის ყველგან გაყო-
ნულია.

აღბათ ბეგრს გაუგონია, რომ სპილო წყნარი მშვიდი და გულ-კეთილი ცხოველია. მოშინაურებული სპილო ბავშვივით ემორჩილება პატრონს, გულმოდგინედ უსმენს მას და დიდი სიფრთხილით ასრულებს მის ბრძანებას.

ერთ მოგზაურს ცხენით ტყე უნდა გაეგლო. შევიდა თუ არა ტყეში, ცხენს რაღაც ხმაურობა შემოესმა და შეჩერდა. ცოტა მიახლოების შემდეგ გამოირკვა, რომ ხმაურობის მიზეზი იყო მოშინაურებული სპილო, რომელიც ძალიან ძნელი სამუშაოთი იყო გაართული. ეშვებზე ვეებერთელა ძელი შეედო და ტყიდან გამოჰქონდა. სპილოს თან არავინ ახლდა და ზილიკი, რომელზედაც უნდა გაეგლო, ვიწრო იყო. ეტყობოდა მუშაობა ეძნელებოდა, ვინაიდან გაჯავრებული ბურტყუნებდა. სპილომ დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი ცხენოსანი, თავი ზევით ასწია და მგზავრს მიაცქერდა, მკრმე უცებ ძელი ძირს დააგდო, უკან დაიხია და გზა დაუთმო. ცხენი შიშით ადგილიდან მაინც ვერ იძროდა და კანკალებდა. ამის მაყურებელი სპილო თანდათან უკან იხევდა და მოუთმენლად ელოდა მგზავრის გავლას. ბოლოს როგორც იყო ცხენი დაიძრა და იმ ადგილს გაშორდა. სპილო ძელს დაუბრუნდა და გულმოდგინედ განაგრძო მუშაობა.

ქალაქ პრალის (ჩეხო-სლოვაკიაშია) ცირკში წარმოდგენის შემდეგ ცირკის პატრონი და მისი საყვარელი სპილო დასაძინებლად ერთ სადგომში მოეწყვენ. ღამით პატრონს შემოესმა სპილოს რაღაც არაჩვეულებრივი ბორგვა. ვინაიდან ცირკის პატრონს სალაროში კაი მოხრდილი თანხა ეგულეობდა, სპილოს ხმაურობამ ეჭვში შეიყვანა, ადგა, დაბმული სპილო ახსნა და ნებაზე მიუშვა. ცოტა ხნის შემდეგ სპილოს პატრონს ბნელაში შემოესმა ყვირილი და ბრძოლის ხმაურობა. პატრონმა სანთელი აანთო და თვალწინ საოცარ სურათი გადაეშალა: სპილოს ხორთუმით ჰაერში ეჭირა ვიღაც უცნობი და მისთვის არა ევნო რა. დატყვევებული კაცი საცოდავად ფარხალებდა და გათავისუფლებას ლამობდა. როდესაც დატყვევებულმა სპილოს ხორთუმის გაკაწვრა მოუხდომა, ჰკვიანმა ცხოველმა იგი ამ თვახედობისათვის გულგრილად კედელს მიახალა. ამის შემდეგ დატყვევებული დარწმუნდა, რომ ვერას გახედებოდა და ბედს დაემორჩილა.

სპილოსაგან დატყვევებული აღმოჩნდა ქურდი, ცნობილი ბოროტმოქმედი, რომელსაც მთავრობა თურმე დიდხანს დაეძებდა დასაქურად.

ერთი ფრანგი მოგზაური ინდოეთში ესტუმრა თავის მეგობარ მემამულეს რომელსაც რამდენიმე სპილო ჰყავდა. ერთხელ მოგზაურს დილით ადრე მოუხდა გავლა ეზოში, სადაც ხის მორებზე ვეებურთელა გობი იყო შედგმული შინაური საქონლისათვის წყლის დასალევად. გობის ყოველდღიურად წყლით ავსება დაკისრებული ჰქონდა ერთ თეთრ სპილოს, რომელიც მუდამ წესიერად ასრულებდა დავალებას: იგი დილით გამოღვიძებისთანავე გასწევდა წყლის საქაჩავისაკენ და შეუდგებოდა თავის საქმეს. მოგზაურის დანახვზე სპილომ სიამოვნების ნიშნად ყურები მხიარულად დააბარტყუნა. ამ ცხოველს მოგ აური ძალიან უყვარდა, რადგანაც იგი ხშირად უმასპინძლდებოდა მას ტკბილესით.

მოგზაურმაც თავის მხრივ სპილოს მიუალერსა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ მისი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. გობს ცალი მხრიდან ხის მორი გამოვარდნოდა, რის გამო გობი აღმაცერად იდგა და ნახევრად ცარიელი იყო. მოგზაური დაინტერესდა: უნდოდა გაეგო, თუ რას იზამდა სპილო. წყლის გადმოქაჩვის შემდეგ მიატოვებდა თავის სამუშაოს, როგორც შესრულებულს, თუ შეამჩნევდა, რომ გობი ნახევრად ცარიელია. როგორც კი წყალი ნაპირიდან გადმოიღინდა, სპილომ გობს გადახედა, მაგრამ ნახევრად ცარიელი რომ დაინახა, კვლავ განაგრძო დაქაჩავება; წყალი, რასაკვირველია, იღვრებოდა. მაშინ სპილო მიხვდა, რომ აქ რაღაც ყველაფერი რიგზე ვერ იყო. საქაჩავს თავი მიანება და გობს დაუწყობო თვალღიერება, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია და კვლავ საქაჩავს დაუბრუნდა.

ასე გადადიოდა სპილო საქაჩავიდან გობთან და გობიდან საქაჩავთან. ბოლოს სიხარულით ყურები დააბარტ უნა: ეტყობოდა მიხვდა, თუ რა იყო მიზეზი, გობი რომ წყლით ვერ აევსო და ხის ძირს დაუწყობო ყნოსვა. მოგზაურს ეგონა სპილო ხის მორს ისევ შეუდგამდა გობს, მაგრამ შესცდა: გონიერმა ცხოველმა თავისი ყურადღება სწორედ გობის იმ ნახევარს მიაქცია, რომელსაც წყლით ვერ ავსებდა და კიდევ მოისაზრა, როგორ ეშველა საქმისათვის. გობის იმ ნაპირს, საიდანაც წყალი იღვრებოდა, თავისი ტლანქი ფეხი დააბი-



ჯა. გობი ცარიელი მხრით აიწია და სპილომ¹ სორთუმით გობს მეორე მორიც გამოაცალა. გობი, რასაკვირველია, გასწორდა და სპილომ თავისი საქმე დაასრულა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი გარეული ცხოველის მოშინაურობა და გაწვრთნა ადვილად ხდება. ალბათ ბევრს უნახავს, თუ რა სასაცილოდ აცეკვებენ და ათამაშებენ მოშინაურობულ დათვის, რომელიც ცალი თათით ჯოხზე დაბჯენილი და მეორეში ქუდით, ცეკვის დამთავრების შემდეგ მაყურებლებს ჩამოუფლის და გასამრჯელოს ჩამოითხოვს ხოლმე.

განსაკუთრებით გამახვილებული აქვთ ძუძუმწოვარ ცხოველებს ყნოსვის უნარი. ყნოსვით ისინი ხშირად განსაცვიფრებლად განასხვავებენ ერთიმეორისაგან ისეთ საგნებს, რომელთა სუნს ადამიანი სრულიად ვერ განასხვავებს. ასეთი გამახვილებული ყნოსვა ეხმარება ცხოველებს საკვების ძიებაში, საზრდო ნივთიერების გამოთრევაში უსარგებლო მავნე ნივთიერებათაგან, მტრის გამოცნობაში და სხვა.


* *

მეცნიერი ფლიურანი მოგვითხრობს, რომ თურმე ერთ-ერთ ბოტანიკურ ბაღში ძალიან ბევრი დათვი ჰყოლიათ. უნდოდათ ორი მათგანი მოეშორებინათ, ამიტომ გადაწყვიტეს დათვები მოეწამლნათ. პურის ნაჭრებზე რამდენიმე წვეთი საწამლავი დააპკურეს და სასიკვდილოდ გამეტებულ ცხოველებს მიაწოდეს. პურის დანახვაზე დათვები უკანა ფეხებზე შედგნენ და პირი დააღეს, ასე რომ მოწამლული პური პატრონებმა დათვებს პირდაპირ ხახაში ჩაუგდეს, მაგრამ დათვებმა პურის ნაჭრები მაშინვე პირიდან გამოაგდეს და მოჰკურცხლეს. ყველას ეგონა, რომ დათვები პურს აღარ დაუბრუნდებოდნენ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ, თათებით პურის ნაჭრები წყლიან აუზში ჩაჰყარეს და წყალში ამოაგლეს. შემდეგ დაჰყნოსეს და სიამოვნებით მიირთვეს.

ასევე მოექნენ დათვები შემდეგ მიწოდებულ პურის ნაჭრებსაც. დათვები შეიბრალებს და მათი მოწამლვის განზრახვაზე ხელი აიღეს.

* *

მგელი განსაკუთრებულ მოხერხებას საჭმლის შოვნაში იჩენს. მიუხედავად თავისი საარაკო გაუმადლობისა, იგი ხშირად ახერხებს



სახიფათო შემთხვევებში გაძღომას და სიცოცხლის შენარჩუნებასაც, თუმც ხანდახან ვერც ეს ფრთხილი და წინდახედული ნადირი ასცდებოდა ხაფანგის შეუბრალებელ კლანჭებს.

მგლის დასაქერ საუკეთესო საშუალებად, ისე როგორც დათვის, სპილოს და სხვა ნადირისა, ითვლება ზევიდან კარგად დაფარებული ორმო, რომლის შუა ალაგას ნადირის მისატყუებლად ხორცის ნაქერს ან ლეშს დასდებენ ხოლმე. ლეშის სუნი ხომ მგლისათვის ყოველგვარ სურნელებაზე უკეთესია. ასეთი ორმო რაც შეიძლება ოსტატურად უნდა იყოს მოწყობილი, თორემ არც ჩვენი რუსი მგელი ისე სულელი, რომ ხიფათში ადვილად ჩავარდეს. არავითარ საექვო საგანს მგელი არ შეეხება, თუ, რასაკვირველია მთლად დაბრმავებული არ არის შიმშილისაგან.

მონადირეები, იციან რა მგლის ასეთი სიფრთხილე და წინდახედულობა, შემდეგ ხერხს მიმართავენ: მგლის დასაქერად გამზადებულ ორმოს ირგვლივ ერთი მეტრის სიმაღლე ლობეს შემოაგლებენ. ასეთ შემთხვევაში მგელი ორმოს გარედან დათვალიერებით, რასაკვირველია, ვერას გახდება. ხორცის სუნი კი ყნოსვას უღიზიანებს და ბოლოს ნადირი იძულებული ხდება ალაღბელზე ლობეზე გადახტეს ხორცის მოსატაცებლად. ამგვარად მოტყუებული მგელი ვარდება ორმოში, საიდანაც თავს ადვილად ვეღარ გაითავისუფლებს.

* *

ახალგაზრდა და გამოუცდილი მელიები ხშირად ებმებიან ხაფანგში, მაგრამ გამოცდილი მელია, არამც თუ იშვიათად მოტყუდება ხშირად, სრულიად შორდება იმ არემარეს, სადაც მონადირეები ბლომად უგებენ ხაფანგს. იგი ამჯობინებს ასეთ სახიფათო ადგილს სრულიად მოშორდეს და ყოველგვარი განსაცდელისაგან თავი შორს დაიჭიროს.

* *

არც ჩვენი ნაცნობი კურდღელია ისე სულელი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ვის არ უნახავს, თუ რა მოხერხებით გაურბის იგი თავის მტრებს, თუმც ბევრი ამას კურდღლის სიმხდალეს აწერს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კურდღელი მოკლებულია თითქმის ყოველგვარ თავდაცვის საშუალებას, გარდა სირბილისა, მაშინ არ შეიძლება მას მშინშარა ვუწოდოთ ისე, რო-



გორც ვერ ვუწოდებთ მშიშარას იმ უთარალო ადამიანს, რომელიც მგლის ან დათვის დანახვაზე ხეს მიაშურებს ხოლმე.

აგერ ტრიალ მინდორზე მეძებრებს კურდღელი გამოუგდიათ. უკან რამდენიმე მწვეარი დასდევნებია: ძაღლები თანდათან უახლოვდებიან საცოდავ ნადირს. კურდღლის საშველი არ არისო, ფიქრობს მაყურებელი, მაგრამ ნადირმა აგერ ცოტათი ჩაღრმავებულ ადგილს თვალი მოჰკრა და შიგ გაინართხა. გაქანებულმა ძაღლებმა თავი ვერ შეიკავეს, კურდღელს გადაახტნენ და კარგა გვარიან მანძილზე დაშორდნენ. კურდღელი წამოხტა და ახლა სულ სხვა მიმართულებით ნოჰკურცხლა, ტყეში შეასწრო და თავს უშველა.

* * *


მხედველობას მოკლებული და მუდამ მიწაში მცხოვრები თხუნელა ჭია-მატლების დიდი მოყვარულია, განსაკუთრებით კი ეტანება ჭიაყელებს, რომლებსაც იგი საზამთროდაც ინახავს.

თხუნელა ჭიაყელებს ჯერ თავებს წააწყვეტს, რომ ამით მათ მოძრაობის საშუალება მოუსპოს და შემდეგ 7—8 ცალს ერთად მორგვებად დაახვევს. სანოვაგე რომ არ გაუფუჭდეს, მორგვებს ერთი-მეორეს სილით ან მიწით დააშორებს. ჭიაყელები ზამთარში უსაქმლოდ ცოცხლობენ და ამგვარად დასახიჩრებულება მაინც დიდხანს არ კვდებიან, ასე რომ თხუნელა დიდი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფილია ცოცხალი და სულ ახალი საჭმელით.

* *

ჭკუითა და გონებამახვილობით უფრო მაღლა დგანან ის ცხოველები, რომელთაც ადამიანთან ახლოს უხდებათ ცხოვრება. ამ მხრივ ძალს ვერც ერთი შინაური ცხოველი ვერ შეედრება. იგი ხომ ადამიანის უძველესი, ერთგული და განუყრელი მეგობარია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძალღი მთელი თავისი არსებით პატრონის ერთგულია და მასი სურვილის ამსრულებელი. პატრონს მუდამ თვალებში შესცქერის და მოუთმენლად მოელის მის ბრძანებას. ვერავითარი ცუდი მოპყრობა ძალღს პატრონზე გულს ვერ აუცრუებს. დიდხანს ახსოვს სიკეთე და მალე იგიწყებს ყოველგვარ შეურაცხყოფას. ძალღი ხშირად სიამოვნებით დაუწყებს ლოკვას იმ ხელს, რომელმაც რამდენიმე წამის წინ მას შეურაცხყოფა მიაყენა.



ამავე დროს ცნობილია, თუ რა ადვილად შეიძლება ძალის გაწვრთნა. წვრთნის შედეგად ძალს ძალიან ხშირად შეიძლება მეტად რთული მოქმედება შევასრულებინოთ, ხშირად შეგვიძლიან ვნახოთ, რომ გაწვრთნილი ძალის უწყომანოდ ასრულებს პატრონის ბრძანებას და მისი ქცევა ზოგჯერ მაყურებლის გაკვირვებას იწვევს.

ადრიან ლეონორი თავისი ორი გაწვრთნილი მეძებრის შესახებ მოგვითხრობს, რომ ძალები თითქმის ყოველგვარ მის ბრძანებას ასრულებდნენ. სხვათა შორის, ერთ მათგანს, რომელსაც „ფილაქსი“ ერქვა, დაუდებდა წინ პურის ნაჭერს და ეტყოდა: ეს ნაჭერი შენი ამხანაგის „ბრაკის“ არისო, მეორეს კი ასე ასევე ნაჭერს დაუდებდა და გაათრთხილებდა: ეს ფილაქსის არისო და არც ერთი მათგანი პურს არ შეეხებოდა, სწამა პატრონი არ უბრძანებდა. აქ საყურადღებო ის არის, რომ, როდესაც კარგა ხნის შემდეგ პატრონი უბრძანებდა „ჭამეთო“, ძალები შეუცდომლად დასტაცებდნენ პირს მათთვის მიკუთვნილებულ ნაჭერს და არა იმას, რომელიც თითოეულს მათგანს წინ ედო,

კუნძულ მადაგასკარზე ბლომად ცხოვრობენ უპატრონო მოხეტიალე ძალები. ისინი უმეტესად თავგებით, ბაყაყებით და სხვა წვრილფეხა ცხოველებით იკვებებიან, ვინაიდან სხვა საზრდოს შონა ძალიან უძნელდებათ. ეს კუნძული თითქმის სულ დაფარულია მდინარეებით. ძალებს, ცხოვრების ასეთი პირობების გამო, ხშირად უხდებათ მდინარეების გადაცურვა, მაგრამ გადაცურვის დროს თვითონ ზღებიან ხოლმე ნიანკების მსხვერპლი. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ეს გონიერი ცხოველები შემდეგ ხერხს მიმართავენ: მოუწევათ თუ არა მდინარის გადაცურვა, ნაპირზე ერთად შეგროვდებიან და ასტებენ საშინელ ყეფას. ყეფის გაგონებაზე პირდაღებული ნიანკები ყოველი მხრიდან მიაშურებენ იმ ადგილს; საიდანაც ყეფა შემოესმებათ. როდესაც ძალები შეატყობენ, რომ ნიანკები ბლომად დაგროვდნენ, იმ ადგილიდან მოჰკურცხლავენ და დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით უშიშრად გადაცურავენ მდინარეს. მოტყუებული ნიანკები კი დიდხანს იტრიალებენ იმ ადგილას და ბოლოს ხახამშრალები დაიშლებიან.

1240
10



2. Ե. ՁԵՆՈՆԵՐԸ



* *

ერთ ახალგაზრდა თავმომწონე ინგლისელს, რომელიც პარიზში იყო ჩასული, მოუნდა გაეღა მდინარე სენის ხიდზე. უცებ საიდანღაც ფინია გამოხტა, ინგლისელს მშვენივრად გაწმენდილ ფეხსაცმელებზე ტალახიანი ფეხებით გადაურბინა და სულ დაუსვარა. ინგლისელი იძულებული შეიქმნა იქვე ხიდზე მჯდომი მწმენდავისათვის მიეპართნა ფეხსაცმელების გასაწმენდად.

ეს ახირებული ფინია ასე იქცეოდა ყოველთვის, რამდენჯერაც კი არ მოუხდა ინგლისელს ხიდზე გავლა. ამ გარემოებამ ინგლისელი დააინტერესა: დაუწყო თვალყურის დევნება და დაინახა, რომ ფინია ხიდის ქვეშ ჩაობდნენ სა, ტალახში ფეხებს განხრახ ამოისვრიდა, შემდეგ ხიდზე ამოიზბენდა და მოუთმენლად ელოდა სუფთა ფეხსაცმელებიან გამგელს. ინგლისელი მიხვდა, რომ ძალი ფეხსაცმელების მწმენდავს ეკუთვნოდა, დაუწყო გამოკითხვა და პატრონიც ცოტა ყოყმანის შემდეგ გამოტყდა, რომ ძალი მისი გაწვრთნილია და იგი ამ ხერხით მეტ სამუშაოს შოულობს.

ინგლისელი ძალიან გააკვირვა პაწია ძალის საქციელმა, იყიდა იგი და თავის სამშობლო ქალაქ ლონდონში წაიყენა, მაგრამ ახალ პატრონთან ფინია დიდხანს არ დარჩენილა: ორი კვირის შემდეგ იგი პარიზში ერთ-ერთ ხიდზე კვლავ თავის პატრონთან იპოვნეს ჩვეულებრივი სამუშაოთი გართული.

პარიზში ღამით მიმავალ ერთ მოხუცებულს ფეხებში ვეებერთელა ძალი დაეტაკა და წააქცია, წაქცეულს ორი ახალგაზრდა მიემგელა და ფეხზე წამოაყენა.

მოხუცებულმა დიდი მადლობა გადაუხადა ახალგაზრდებს, რომლებიც მას საჩქაროდ გაშორდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცებულს მოუნდა გაეგო, თუ რა დრო იყო, მაგრამ წარმოადგინეთ მისი, გაოცება არც საათი და არც ფულიანი ქისა ჯიბეში არ ზღმოაჩნდა. მოხუცებული მიხვდა, რომ ახალგაზრდებმა იგი ასე ახირებულად გაცარციეს ეს ა ბავი მოხუე მა მაშინვე პოლიციელებს აცნობა: ორივე ბოროტმოქმედი დააპ ტომრეს, რადგანაც დამალვა ვერ მოეწვროთ, მხოლოდ შესაშე ბოროტმოქმედი, ძალი, უკვალოდ გაქრა.



განსაკუთრებული გონიერებით ცნობილნი არიან სენ-ბერნარდის ჯიშის ძაღლები. ამ ძაღლების სამშობლო, სენ-ბერნარდის მონასტერია, რომელიც გაშენებულია ალპის მთების (შვეიცარიაში) ერთ უღელტეხილზე. ამ მონასტრის ბერები წვრთნიდნენ და ასწავლიდნენ ძაღლებს ზამთრობით გზადაბნეული მოგზაურების ძებნას.

ყველაზე შესანიშნავი ამ ჯიშის ძაღლებიდან იყო ერთი, რომელსაც სახელად „ბარი“ ერქვა. ამ ძაღმა თავისი 12 წლის სამსახურის განმავლობაში საკვდილს გადაარჩინა 40 ადამიანზე მეტი. იგი მდენანდ გა*აცებული იყო თავისი სამსახურით, რომ, როგორც კი იგრძნობდა ქარბუქის ან ნისლის მოახლოებას, შეუძლებელი ხდებოდა მისი მონასტერში დაკავება. იგი დაულოლავედ შემოირბენდა ყველა ძნელად გასავლელს და სახიფათო ადგილს.

ამ იშვიათი ძაღლის ცხოვრებიდან ყველაზე უფრო შესანიშნავია ერთი შემთხვევა: ერთხელ მან ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვნა გაყინული გზადაბნეული ბავშვი, რომელსაც სიცოცხლი ანიშნები არც კი ეტყობოდა. ძაღლმა მაშინვე დაუწყა ბავშვს ლოკვა: იმდენად გაათბო და მოასულიერა, რომ ბავშვი გონს მოვიდა. შედეგ ძაღლმა ლაქუკითა და ალერსით ბავშვი მიახვედრა ზურგზე შესჯდომოდა, ძაღლმა ბავშვი მონასტერში მიიყვანა და ამგვარად სიკვდილს გადაარჩინა.

ბოლოს თვითონ ეს შესანიშნავი ძაღლი შეიქმნა მსხვერპლი ერთი მხდალი ადამიანისა, რომელმაც „ბარის“ მიახლოებებზე იფიქრა: ძაღლი კბენას მიპირებსო და იქვე მოჰკლა ეს გონიერი და კეთილი ცხოველი.

ამ ძაღლის ტყავისაგან გაკეთებული ფიტული ახლაც ინახება ბერნის (ქალაქია შვეიცარიაში) მუზეუმში, ხოლო სენ-ბერნარდის მონასტერში მას დაუდგეს ძეგლი, რომელზედაც აღნიშნულია, როგორც ბავშვის გარჩენის, ისე თვითონ „ბარის“ მოკვლის ამბავი. ძეგლზე გაოხსახულია სენ-ბერნარდის ჯიშის ძაღლი, რომელსაც ზურგით ბავშვი მიჰყავს. ქვეშ წარწერილია შედეგი სიტყვები: „გამბედავმა ბარმა სიკვდილს გადაარჩინა ორმოცი ადამიანი და ორმოცდა მეერთედ თვითონ იგი მოჰკლეს“.

* *

ცხენი ისე, როგორც ძაღლი, პატრონისადმი დიდ სიყვარულსა და ერთგულებას იჩენს, თუმცა ხშირად „ანჩბლობს“ და არც შურის-



ძიების“ უნარსაა მოკლებული. ზოგ თავის თან: მოძმეს ძალიან უმე-
გობრდება, ზოგს კი ძნელად ეგუება. მეცნიერ შეიტლინის სიტყ-
ვით, ცხენი „გულშემბტიკვრობასაც“ კი არ არის მოკლებუ-
ლი. ცხენს შეუძლია გულითადი სიყვარული, მაგრამ სიძულვი-
ლიც ისეთივე ძლიერი იცის. მნახველები მოგვითხრობენ. რომ
ბრძოლის დროს ერთმა ცხენმა კბილებით ასწია დაჭრილი პატრონი
და ცდილობდა ზურგზე შეესვა იგი. მეორე ცხენი თავზე ადგა პატ-
რონის ცხედარს: დასცქეროდა სახეზე, ყნოსავდა და არ შორდებო-
და, გეგონებოდათ, პირუტყვი ფუსა სდებს ცხედრის წინაშე, რომ
იგი სიკვდილის შეჭდეგაც მისი ერთგული დარჩებო.

დღემიწის ზურგზე იშვიათად რომელიმე ხალხს ცხენი ისე უყვარ-
დეს და ცხენს ისე აფასებდეს, როგორც არაბები. არაბი ცხენს
თავსავით უფრთხილდება და უვლის, ცხენი არაბის ერთგული მე-
გობარი და მისი განუყრელი თანამგზავრია. შეიძლება ითქვას, რომ
არაბი ცხენზე ცხოვრობს და ცხენზე კვდება კიდევ; ცხენის ყოველ
მოძრაობას თვალყურს ადევნებს და სათუთად ფაქრობა მას. არაბი
თავისი ცხენით ამაყობს და მის სიკვდილს უფრო ადვილად შეურიგ-
დება, ვინემ მის სამარცხვინო საქციელს.

და მართლაც არაბულ ცხენებს თავისი სილამაზით განცვიფრე-
ბაში მოჰყავთ მთელი ქვეყანა. ღონიერი, ქურციკივით მარდი ამაყი,
თავისუფლებისმოყვარე, არაბული ცხენი სილამაზის იშვიათი ფორ-
მისა და საუკეთესო თვისებების შესისხლხორცებაა.

უღაბნო საჰარაში ერთ არაბს ჰყავდა იშვიათად ლამაზი ცხენი,
რომლითაც პატრონი ამაყობდა. მოხდა ისე, რომ ეს ცხენი მოიპა-
რეს. პატრონი სხვა არაბებთან ერთად მაშინვე უკან დაედგენა
ქურდს და დაეწია კიდევ. მიახლოებისთანავე არაბმა ქურდს მიად-
ხა: ხანჯლით გამოსჭერ კისერი ჩემს ცხენსო. თავის ხელბლებს კი
მიუბრუნდა და უთხრა: მე ცხენის დაკარგვა მირჩევნია, ვინემ მის
ასეთ სამარცხვინო საქციელს ვხედავდე,—ჩემი ცხენი ცოცხალი
დანებდა ქურდებსო.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ცხოველები განსაკუთრებულ უნარს
გაწვრთნის დროს იჩენენ. ამ მხრივ შინაურ ცხოველებში ცხენი
განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ვის არ უნახავს ცირკში
მოთამაშე გაწვრთნილი ცხენები, რომლებსაც თავისი ვარჯიშობითა
და თამაშით განცვიფრებაში მოჰყავთ ადამიანი.



* *

ვირი არც ისე უჭკუო ცხოველია, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. თავის „ჯიუტობით“ ხომ ვირი ყველასათვის ცნობილია, განსაკუთრებით კი თუ მას ცუდად ეპყრობიან. თუ ვირი გაჯიუტდა, მას ვერას გზით ადგილიდან ვერ დასძრავენ, — იგი ზოგჯერ ტვირთიანად მიწაზე გაგორდება, იკბინება და ტლინკებს ისკრის.

ვირი რომ უჭკუო არ არის, ეს იქედანაც ჩანს, რომ ამ ცხოველს, ისე როგორც ცხენს, წვრთნიან და ცირკში ათამაშებენ. ერთმა ცირკის ტაქიმასხარამ ვირს შეასწავლა ქალაქდაცააკრულ რგოლებში გახტომა, საათის ცნობა, რასაც ვირი მიწაზე ფეხის დაკვრით აკნობებდა მაყურებლებს, ბანქოა თამაში, ზოგიერთ კითხვებზე თავის ქნევით, ან ყროყნით პასუხის გაცემა, თავის მომკვდანურება და სხვა.

* *

ლონდონში ერთ კაცს ჰყავდა ღორი, რომელიც ისე გაწვრთნა, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებდა დიდად დაწერილ ასოებს. ამ „ნასწავლ“ ღორს იატაკზე დაულაგებდნენ ანბანს. ერთ-ერთი დამსწრეთაგანი ეტყოდა ღორის პატრონს რაიმე სიტყვას. პატრონი კი თავის შეგირდს უბრძანებდა და ისიც ანბნიდან შეუცდომლად ამოარჩევდა საჭირო ასოებს და თავის რიგზე დაალაგებდა.

ინგლისელებმა ერთხელ სცადეს ღორი ძალღის მაგიერ ნადირობაში გამოეყენებინათ და წარმოიდინეთ, ამ ხელობას იგი თურმე ძალზე ნაკლებ როდი ასრულებდა! ყნოსვა იმდენად განვითარებული ჰქონდა, რომ დაახლოებით 10—12 მეტრის სიშორიდან აულებდა გეზს ფრინველს და ნადირობის დროს თავი ისე ეჭირა, როგორც კარგად გაწვრთნილ მეძებარს.

* *

კატა. ეს მატყუარა და ავზნიანად ცნობილი ცხოველი, ზანდაზან საოცარ გონებამახვილობას იჩენს. ერთხელ კატამ შენიშნა, რომ ჩიტები ძალიან ეტანებიან ნაგავთან ერთად გადაყრილ ნამცეცებს. კატა თითქმის ყოველ ნასადილვეს დაუდარაჯებდა ჩიტებს და ერთ-ერთს მაინც იგდებდა კლანჭებში ერთ დღეს ჩიტები ნაგავს არ მიეკარნენ, ნამცეცები ღამით თოვლმა დაჰფარა. დილით კატამ თოვლი გადაჩხრიკა და ნამცეცები თოვლზე დააღაგა. ამის შემდეგ იგი ნაჩვევ ადგილს ჩაცუცქდა და ნადირობა განაგრძო.

ძველს რუსეთში, ყოფილ გორბატოვის მანქანის ერთ-ერთ სოფელში, შემდეგ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: დილით, როდესაც სოფლის ეკლესიაში მლოცველები ცისკრის ლოცვას ისმენდნენ, კარიბჭეში მოისმა კატის საცოდავი კნავილი. ამას ყურადღება მიაქცია მღვდლის მსახურმა. კატა მღვდლისა აღმოჩნდა და მსახურმა იგი გარეთ გაავდო. მსახურის დანახვაზე კატამ შინისაკენ მოჰკურცხლა, მაგრამ მალე ისევ უკან დაბრუნდა და კიდევ უფრო საცოდავი კნავილი გააბა; მსახური იძულებული შეიქნა კატა დაეჭირა და შინ წაეყვანა. წარმოიდგინეთ მსახურის გაოცება, როცა შინ მივიდა: სახლის კარები გატეხილი დაუხვდა, ოთახები აფორიაქებული და სახლი გაქურდული.

ცხადია, კატას ქურდების, ამ დაუბატიყბელი სტუმრების, საქციელი როგორღაც „ჭკუაში არ მოუვიდა“ და პატრონს მიაშურა. ალბათ ისიც შენიშნული ჰქონდა, რომ პატრონი თავისი ოჯახობით ეკლესიაში სწირად დაიარებოდა. ყველას შეუძლია წარმოიდგინოს თუ რა დიდ სამსახურს გაუწევდა ეს ცნოველი თავის პატრონს მას რომ ვინმე პირველადვე შინ გაჰყოლოდა.

არც ხალხში გავრცელებული ის აზრია მართალი, თითქოს კატას ძალიან ეჯავრებოდეს წყალი. მნახველები გვარწმუნებენ, რომ კატას ცურვაც კარგად ეხერხება და ზოგიერთი მათგანი თევზებსაც კი იჭერს მოხერხებულად.

ერთი ექიმი მოგვითხრობს, რომ ერთ ქარხნის დარაჯს ჰყავდა ძაღლი და კატა, რომლებიც ძაღლიან დამეგობრებულნი იყვნენ. როდესაც პატრონი ბანაობის დროს მდინარის მეორე ნაპარზე გასცურავდა, თურმე ძაღლი და კატა პატრონს მიაშურებდნენ და ერთმანეთს ცურვაში ეჯიბრებოდნენ.

* *

როგორც დაკვირვება გვიმტკიცებს, ბუნებას ფრინველებიც და უჯილდოებია გონიერებით. ფრთოსანთა შორის ყველაზე უფრო გონიერ ფრინველად თუთიყუში ითვლება. ამ ფრინველს ძაღლიან უყვარს ადამიანთან დამეგობრება და ლაპარაკის დიდ სურვილსა და ნიჭს იჩენს. თუთიყუშს ფრინველთა შორის ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მაიმუნს ძუძუმწოვართა შორის. სხვა ფრთოსანთან შედარებით თუთიყუშს თავის ტვინიც უფრო განვითარებული აქვს.

თუთიყუში, როგორც ვიცით მშვენივრად ეწვევა ზოგიერთი სიტყვების გამოთქმას და ხშირად მთელ წინადადებასაც კარგად იმახსოვრებს. ბერს ჰგონია, რომ იგი ამ სიტყვებს ყოველთვის უაზროდ იხეპირებს და გამოსთქვამს კიდევ: ამის შესახებ ხალხში თქმულებაც კი არის გავრცელებული: თუთიყუშივით. ლაპარაკობსო, იტყვიან ხოლმე, როდესაც ვინმე უაზროდ დახეპირებულ რასმე მოგვითხრობს. მაგრამ ეს შეხედულება ხშირად არ შეეფერება სინამდვილეს. ცნობილ მეცნიერ ბრემს თავის შესანიშნავ წიგნში — „ცხოველთა ცხოვრება“-ში აუარებელი ცნობები მოჰყავს იმის და-მაშტაცებელი, რომ თუთიყუშს ხშირად თითქოს ესმის დახეპირებული სიტყვების მნიშვნელობაც და ადამიანის ლაპარაკში ხშირად ძალიან მოხდენილად ჩაურთავს ხოლმე თავის სიტყვას. ამავე აზრისაა ამ საკითხის შესახებ მეორე მეცნიერი ლეფერე, რომელიც ამის შესახებ შემდეგს განმარტავს: როდესაც თქვენ ეკითხებით თუთიყუშს, ნასაუზმეგია იგი თუ არა, დადებით პასუხს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ მართლაც მიძიარია. მაგრამ თუ თქვენ, მაგალითად, ძალას და-ატანთ და „ჰო“-ს მაგიერ „არა“-ს ათქმევინებთ, აშკარად შეატყობთ, რომ ამ შეპირვევაში გამოთქმული „არა“ დასტურს უფრო ნიშნავს, ვიდრე უარყოფას.

ერთ ოჯახში ცხოვრობდა თუთიყუში. მეზობლად მცხოვრები ქალიშვილები დილაობით სასწავლებელში დადიოდნენ. ერთ ქალი-შვილთაგანს ზურგზე გადაყრილი ჰქონდა მშვენიერი ნაწნავები. თუ-თიყუშს არა ერთხელ გაუგონია, რომ ოჯახის წევრები ამ ქალიშვილს ეძახოდნენ „ნაწნავებიან ლამაზ გოგონას“. თუთიყუშმა ეს სიტყვები კარგად დაიხეპირა და, როგორც კი დაინახავდა ამ ქალიშვილს; მაშინვე იცნობდა და მიიძახებდა: „ნაწნავებიანი ლამაზი გოგონაო“.

საკურადლებო ის არის, რომ თუთიყუში ასეთი ქათინაურით არც ერთ სხვა გამვლელს არ მიმართავდა ხოლმე 1).

1). ავტორის მიერ მოყვანილი ეს მაგალითები თუთიყუშის მეტყველების თა-ბაზე! აგრეთვე მრავალი სხვა აღწერილი მაგალითი, ადვილი გასაგებია დღევან-დელი თვალსაზრისით — ინდივიდუური (პირობითა) რეფლექსური მექანიზმების მიხედვით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევებში არ შეიძლება ისე ვიფიქროთ, თით-ქოს შეგნებულ მოქმედებასთან გვქონდეს საქმე. რ. ე. დ.

მეცნიერები, რომელთაც არა ერთხელ უწარმოებიათ დაკვირვება მოგზაურ ფრინველთა ცხოვრების შესახებ, მოგვითხრობენ, რომ ფრინველები განსაკუთრებით მოგზაურობის დროს იჩენენ „წინდახედულობას“. ზოგიერთი ჯიშის ფრინველებს ცხელი ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნებისას თან მიაქვთ ფეხებით ხის პატარა ტოტები. ამ ტოტებს ქარიშხლის დროს ზღვაში ჩაჰყრიან და ზედ დაასხდებიან. ამით ქარიშხლის საშიშროებას თავიდან აიცილენ და ისვენებენ კიდევ.

აფრიკის ფრთოსანთა შორის შესანიშნავია პატარა ჩიტო, რომელსაც „მეთაფლიას“ ანუ თაფლის მაჩვენებელს ეძახიან. ეს ჩიტუნია დიდი მოყვარულია თაფლის, მაგრამ საიდან უნდა იშოვოს თაფლი ამ პატარა და სუსტმა ფრინველმა? ჩვენს ნაცნობ დათუნას ჩიტებზე ნაკლებ როდი უყვარს თაფლი, მაგრამ ფუტკრები ხომ ამ დევგმირსაც არ ანებებენ ადვილად თავის ნაოფლარს და მას ხშირად ცრემლებსაც აღვრევიან თავისი გესლიანი ისრებით.

„მეთაფლია“ ამ შემთხვევაში სულ სხვა ხერხს მიმართავს. შთაგლეხს თუ არა ტყეში რომელიმე ხის ფულუროში ფუტკარს, მაშინვე გააბამს რაღაც ახირებულ ჭყვილს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კარგად იციან, თუ რას მოასწავებს ამ ჩიტის ასეთი გულმოდგინე ჭყვილი. „მეთაფლიას“ მაშინვე ნაჯახით ხელში უკან გაჰყვებიან და ეს დაუპატიჟებელი სტუმრები ფუტკრებს მიადგებიან. ადამიანი, რასაკვირველია, ხეს მოსჭრის, ფულუროდან ფუტკრებს გამოიყვას, თაფლს გაბოიღებს და არხეინად შინსაკენ გასწევს. სწორედ აშას ნოუთმენლად უცდის „მეთაფლია“. როგორც კი ადამიანი ხეს მოშორდება, ჩიტი დარჩენილ თაფლს ხარბად მივარდება და თავისებურ ლხინს გააჩაღებს.

ყორანი ძალიან იშვიათად ჩაეარდება რაიმე სიფათში, ზრავინდოსტატურად არ იყოს მოწყობილი მისი მოსატყუებელი იარაღი. „ემშაკობით“, „გონებაშახელობით“ და საჭმლის საშოვნელი ხერხითა და საშუალებით იგი ძალიან ჰგავს მელიას; კარგად არჩევს მიწის მუშასა და მონადირეს. ამ უკანასკნელს იგი იცნობს, რავინდ ტანისამოსში არ იყოს გამოწყობილი.

ყორანი ისეთ ცხოველებსაც კი იმორჩილებს, რომლებიც თითქმის ბუნებასაც კი დაუფარავს ფრინველებისაგან. მაგარნიყარიან ლო-

კოკინას იგი მაღლა ჰაერში აიტაცებს, იქიდან ქვაზე დაანარცხებს, ნიჟარა დაიმსხვრევა და შიგ მოკალათებულ რბილსხეულიან ცხოველს ყორანი სწრაფად გადასანსლავს.

* *


ერთმა ფრინველების მოყვარულმა მღვდელმა იმდენად მიიჩვია ბელურები, რომ ხშირად ეს დაუღებარი ჩიტუნები ოთახში შეფრინდებოდნენ და იატაკზე დაყრილ პურის ნამცეცებს უშიშრად შეექცეოდნენ. მღვდელმა მოისურვა გაეგო; აქვთ თუ არა ფრინველებს ადამიანის ცნობის ნიჭი. ამ მიზნით მან თავის ტანისამოსში გამოაწყობა ქმისწული დასვა იქ, სადაც თვითონ ჯდებოდა. ბელურები მიფრინდნენ თუ არა ფანჯარასთან, რაღაც შემუფოთდნენ, ოთახში არ შეფრინდნენ და ისევ მალე გაფრინდნენ. ჩანს ჩიტუნები კარგად იცნობდნენ თავის მფარველს და უცნობმა სახემ ისინი დააფრთხო.

სანამ ფანჯარასთან იჯდა მღვდლის ქმისწული, მას არც ერთი ბელურა ახლოსაც არ მიჰკარებია, მაგრამ, როგორც კი მღვდელმა ადგილი დაიჭირა, ბელურები მაშინვე მიფრინდნენ.

ერთ მემამულეს ბოსტანში ბელურები შეეჩვივნენ და მარცვლეულობა სულ გაუნადგურეს. მსახური ქალი ხშირად ერეკებოდა ბოსტანიდან ამ ქურდბაცაცებს, მაგრამ ვერას ვახდა. როგორც კი მსახური თავისი თეთრი ფეშტემალით ბოსტანს გამოვრდებოდა, ბელურები მხიარული ჟივილით კვლავ მიუბრუნდებოდნენ საყვარელ საკენკს. ბოლოს მსახურმა ჩალისაგან საფრთხობელა გააკეთა, თავის ძველი ტანისამოსი ჩამოაცვია და შუაგულ ბოსტანში ჩადგა, თავზე თავსაფარო დაახურა და თეთრი ფეშტემალიც კი ააფარა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამის შემდეგ ბელურები დაშინდებოდნენ და ცოტა ხნით მაინც მოშორდებოდნენ ბოსტანს? სულაც არა! ჩიტები საფრთხობელის პირველ დანახვისთანავე არხეინად შეექცნენ მარცვლეულს.

* *

შინაური ფრინველების ქცევაზე ერთი მნახველი შემდეგს მოგვითხრობს: „ერთ ზაფხულში ჩემს კარგ მეგობარ მემამულეს ვესტუმრე. ჩვეულებრივ ერთმანეთს აზბავი ვაზოგვითხეთ და შემდეგ მამულის დათვალეობას შევუდექით. შვედგით თუ არა ფეხი ბალშო, მოშორებით ორი ინდაური დავინახე: ერთი ბუჩქთან იდგა ახლოს,



მეორე კი ამ ინდაურს ზურგზე ადგა და ბუჩქიდან რაღაცას გლეჯდა. ამის დანახვაზე მასპინძელს მოვუბრუნდი და ვუთხარი: „კაცო, ერა ჯამბაზები გყოლია“ მეთქი და ინდაურებზე მივუთითე, — „ოხ, ეს დაწყველილებია!“ — წამოიძახა მასპინძელმა, ჯოხს ხელი წამოაელოდა ინდაურებისაკენ გაექანა. მე შევაჩერე და ვთხოვე, აეხსნა ჩემთვის, თუ რაში იყო საქმე. „თქვენ გინდათ გაიგოთ, თუ როგორ მპარავენ ეს გაიძვერები ეკალყურძენას? — ძალიან კარგია“. ჩვენ შევეჩერდით და დავუწყეთ ინდაურებს თვალყურის დევნება. ქვედა ინდაური უძრავად იდგა, ზევითა კი გამალბებით ხილს გლეჯდა და ყლაპავდა. ცოტა ხნის შემდეგ ქვედა ინდაურის სისინი მოისმა. ზევითა მაშინვე ძირს ჩამოხტა, ქვევითა ზურგზე შეახტა და ახლა ეს შეუღდა ხილით პირის ჩაგემრიელებას“.

* *

გასულ საუკუნეში ერთ ფრანგულ ჟურნალში მოყვანილი იყო ცნობა, თუ როგორ ისწავლეს წიწილებმა თავგების ჭერა. ერთ ოჯახში თავგები ძალიან გამრავლდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ზომა იყო მიღებული იმათ გასაწყვეტად.

ერთხელ ოჯახის პატრონმა ხაფანგით დაჭერილი მკვდარი თავგები ფრინველებს გადაუყარა ეზოში. წიწილები და იხვები მიცვიდნენ თავებს, ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯეს და სიამოვნებით გადაჰყლაპეს. მეორედ პატრონმა თავის გასართობად ფრინველებს ცოცხალი თავგები გადაუყარა: წიწილები, რასაკვირველია, უფრო ადრე მივარდნენ თავებს, დაიჭირეს და დაუწყეს გლეჯა. წიწილებს იხვები წამოედავენ და შეიქნა წრუწუნების წყწვა-გლეჯა. ამის შემდეგ წიწილებმა თვითონ დაიწყეს თავგებზე ნადირობა. პატრონი ხშირად ხედავდა წიწილებს, რომლებიც შეშის გროვასთან, თავლასთან, ან კიდევ თივის ბულულთან უძრავად იდგნენ და კატის მოთმინებრთ თავგებს უღარაჯებდნენ. როგორც კი წრუწუნა თავს გამოჰყოფდა, წიწილა ნისკარტით მივარდებოდა და შუაგულ ეზოში წააპროწიალებდა. თავის წრიპინზე წიწილები და იხვები შეგროვდებოდნენ და ეზოში მართლაც რომ სასაცილო ამბავი შეიქნებოდა. ფრინველები თავს წააფრინდებოდნენ და ყველა თავისკენ ეწეოდა. ყველა ცდილობდა, როგორმე თავი სხვისთვის ნისკარტიდან გამოეგლიჯა; დაგვიანებით მისულები ფრინველთა გროვაში თავებს ქვევიდან გაჰყოფდნენ, იქნებ როგორმე თავს ნისკარტი წავავლოთ და უნაწილოდ არ დავრჩეთო.

ბოლოს, რასაკვირველია, თავი გაიგლიჯებოდა და ფრინველები ნაშოვნი ნაგლეჯებით ცალ-ცალკე ვარბოდნენ: ვინ თავის ფეხს მი-
აპროწიალებდა, ვინ კუდს და ან სხვა რაიმე წანაგლეჯს.

* *

არის ერთგვარი ჯიშის თევზი, რომელსაც „თევზი მსროლელი“
ჰქვია. ეს თევზი მართლაც რომ ახირებულსა და თანაც სასაცილო
ხერხს ხმარობს მწერებზე ნადირობის დროს.

აგერ წყლის პირას ბალახზე ბუზი დამჯდარა და არხინად მზეზე
თბება. თევზმა ბუზს თვალი მოჰკრა, წყლის ზედაპირზე ამოცურდა
და მწერს ნახევარი მეტრის მანძილზე მიუახლოვდა. დახელოვნებულ
მონადირესავით ცოტათი განზე გადგა, მწერი მიზანში ამოიღო და
პირიდან შურდულივით ესროლა რამდენიმე წვეთი წყალი. ბუზი
წყალში ჩავარდა. თევზი სწრაფად ეცა, გემრიელი ლეკმა გადასანს-
ლა და ახალი საკბილოს საძებნელად გაექანა.

კუნძულ იავაზე მცბოვრებლებს და იაპონელებსაც ეს მაშხაპუნე-
ბელა თევზები დამწყდევული ჰყავთ წყლით სავსე ჭურჭელში და მა-
თი ნადირობით ერთობიან. ჭურჭლის შუა ადგილას ჯოხს დაამგ-
რებენ და ზედ ბუზს ან სხვა რომელიმე მწერს მსუბუქად მიაწებე-
ბენ. თევზები მოჰკრავენ თუ არა ბუზს თვალს, წყლის ზედაპირზე
ამოცურდებიან და წყლის წვეთებს საფანტივით ესვრიან, — თანაც
ისე დახელოვნებულად, რომ არც ერთ წვეთს მიზანს არ ააცდენენ.
ჩინეთის წყლებში ცხოვრობს ამავე ჯიშის თევზი, რომელიც ისე
დახელოვნებულია, რომ გაფრენილ მწერებზეც კი ნადირობს აწ-
ხერხით.

* *

ზოგიერთი ჯიშის კიბოები ძალიან მოყვარულნი არიან ზღვის
ლოკოკინებისა. როგორც ვიცით, ამ ლოკოკინებს სხეული ორღებნია-
ნი ნიჟარით აქვთ დაფარული. ნიჟარის ლებნები იღება და იხურება,
როგორც ამას ლოკოკინა საჭიროებს.

აგერ ლოკოკინა ზღვის პირას არხინად გაწოლილა, სიამოვნე-
ბისაგან ნიჟარა გაუღია და მზეზე თბება. კიბო შეუმჩნევლად მიეპარა
ლოკოკინას და ნიჟარაში მოხერხებულად კენჭი ჩაუგდო. ლო-
კოკინამ ნიჟარა ვეღარ დახურა და კიბომ იგი ადვილად დაიმორჩი-
ლა. სწორედ ასეთ ოსტატობაზე ითქმის: „ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა“ .ო.

განსაკუთრებით საინტერესოა ჭიანჭველათა ცხოვრება, რომელიც გულდასმით არის შესწავლილი პრავალ მეცნიერთა მიერ.

ჭიანჭველას ყველაზე უფრო განვითარებული აქვს ყნოსვა. ყნოსვის ორგანოები მას მოთავსებული აქვს საწერტების (ულვაშების) ბოლოებზე. ჭიანჭველის ცხოვრებისათვის საწერტები უსაჭიროესი იარაღია. საწერტის საშუალებით იგი მშენებრად არჩევს თავისიანებს სხვა ბუდის ჭიანჭველებისაგან. მეცნიერთა აზრით ერთი და იმავე ბუდის ჭიანჭველები სხეულიდან უშვებენ ერთგვარ განსაკუთრებულ ნივთიერებას, რომლის სუნითაც ეს მწერები ერთმეორეს სცნობენ. მხედველობას რო? ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამას შემდეგი ფაქტი გვიმტკიცებს: ჭიანჭველა რომ წყლით ან წყალნარევი სპირტით გაებანოთ და მაშინვე თავის მშობელ ბუდეში შეეშვათ, მას ამხანაგები ვერ იცნობენ და სიცოცხლეს გამოასალმებენ, მაგრამ თუ გაბანილი ჭიანჭველა ერთ დღედალამეს ბუდის გარეშე დარჩება, მას თავისიანები იცნობენ და კვლავ სიამოვნებით მიიღებენ.

ჭიანჭველას რომ ულვაშების ბოლოები დავაჭრათ, ამ მწერს ყნოსვასთან ერთად თითქმის ცხოვრების უნარიც კი ეკარგება, ვინაიდან, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ულვაშები მისი არსებობის უმთავრესი იარაღია.

ბუნებისმეტყველი ლეფევერი ჭიანჭველების ცხოვრებიდან მოგვითხრობს თავის თვალთ ნახულ შემდეგ ამბავს: «ერთხელ მე და ჩემი ერთი მეგობარი ბაღში დავსეირნობდით. მაისის დამლევით იყო. ეს ის დროა, როდესაც მაისის ხოჭოები თავის ხანმოკლე სიცოცხლეს კვერცხების დადებით ამთავრებენ, რათა ამ კვერცხებიდან კვლავ თავისივე მსგავსი მწერების წარმომშობი ჭიები გამოიჩეკონ. სეირნობის დროს დავინახეთ, რომ რამდენიმე ჭიანჭველა ხოჭოს ფრთას ჩასჭიდებოდა და ბუდისაკენ მიათრევდა. ბუდეში ჩასაძრომთან რომ მივადნენ, ფრთა ცალი თავით შიგ ჩაუშვეს. სამი ჭიანჭველა ჩააძრომში ჩაეშვა და ფრთას ქვევიდან ეწეოდა, დანარჩენები კი ზევიდან აწებობდნენ, მაგრამ ფრთა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ბუდეში ვერ ჩაათრეის. საქმე გაუძნელდათ, თანაც ეტყობოდათ გემოელი ლუკმის დაკარგვა ენანებოდათ. მაგრამ ჭიანჭველები სიძნელის წინაშე უკან დახევას როდი არიან ჩვეულები! ჭიანჭველებმა ფრთას თავი მიანებეს, ყველანი მიწაში ჩაძვრნენ და ჩასაძრომის

გაფართოებას შეუდგენ. ნახევარი საათის მუშაობის შემდეგ ფრთა სადგომში ჩაათრის და შემდეგ ჩასაძრომი კვლავ დაავიწროვს“.

ერთ მემამულეს ბაღში ქლიავის ხე ედგა. ხის ყვავილებს ძალიან ეტანებოდნენ ჭიანჭველები. პატრონმა ყვავილების დასაცავად ხეს ძირიდან ცოტათი დაშორებით იმდაგვარი წებოვანი სითხე წაუსვა, როგორსაც ბუზების დასაქერად ხმარობენ. ამ გარემოებამ ჭიანჭველები ძალიან „შეაშფოთა“. განსაკუთრებით წებოს ზევით დარჩენილები ფუსფუსებდნენ. ქვევიდან მიმავალი ჭიანჭველები ცოტა ხნის შემდეგ ერთად შევროვდნენ. ხის მახლობლად სილით მოფენილი ბილიკი გადიოდა. წებოს ქვევით დარჩენილი ჭიანჭველები ყველანი ძირს ჩაცოცდნენ, თითო-თითო სილის ნამცეცი ხეზე აიტანეს და წებოზე დააღაგეს. სამი საათის მუშაობის შემდეგ წებოზე სილის „გზატყეცილი“ გაიყვანეს და მიმოსვლა კვლავ გააჩაღეს.

ერთი მოგზაურთაგანი სახვრეთ აფრიკაში ასეთი შემთხვევის მნახველი იყო: კარგა მოზრდილ ჭიას ასიოდე წითელი ჭიანჭველა ახდევებოდა. ჭია გარბოდა, მაგრამ ჭიანჭველ ბი ეწეოდნენ, ზურგზე ახტებოდნენ და უმოწყალოდ ჰკბენდნენ. ჭია ხანდახან შერბებოდა, ჭიანჭველებს ზურგიდან ძირს ჩამოჰყრიდა და ჰსოცავდა. ჭიანჭველები მაინც არ ეშვებოდნენ. ჭიას ბოლოს მოქანტულობა დაეტყო. ეს მტრებმა „შეაშჩინეს“ და მოინდომეს უქანასკნელი „იერიში“ მიეტანათ ჭიას დასამორჩილებლად. ჭია გაიქცა და უქანა ფეხებით ბალახის ღეროზე აცოცდა ისე, რომ თავით ძირს მოექცა. ჭიანჭველები ახლა ბალახს შეესივნენ, მაგრამ ჭია მათ სათითაოდ ძირს ავდებდა. ბოლოს ჭიანჭველები მისცივიდნენ ბალახს ძირში და ღრუნა დაუწყეს. ცოტა ხნის შემდეგ საცოდავი ჭია ბალახიანად ძირს დაეცა ამ ამბის მაყურებელს ჭია შეებრაღა და ხეზე შესვა. ჭიანჭველები იმ ადგილას კიდევ დიდხანს ფუსფუსებდნენ თურმე და თავის მსხვერპლს დაეძებდნენ.

* *

ადამიანი ობობაზე ძალიან ცუდი წარმოდგენისაა. ზოგს, არამც თუ ეჯავრება, ეშინია კიდევ ამ მწერისა. მაგრამ, თუ კარგად გვეცნობით მის უხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ ობობას სულაც არ დაუმსახურნია ასეთი მოპყრობა ადამიანის მხრივ. ამ მწერის ერთ-ერთი სანადირო იარაღი ქსელია, რომელსაც იგი ძალიან ოსტატურად აბამს და ნადირობაშიც სხვა მწერებზე ნაკლებ მოხერხებას როდი იჩენს.

ობობას ქცევა რომ მიზანშეწონილია, ეს ჩანს შემდეგი მისი მოქმედებიდან: ვთქვათ ქსელში ბუზი გაება და მაშინვე დაწყნარდა. ობობას თვალები აქვს, მაგრამ ვერც ისე კარგად ხედავს, რომ ქსელში გაბმული ბუზი უცებ დაინახოს. ამიტომ, ბუზის ძებნაში რომ ბევრი დრო არ დაჰკარგოს, შემდეგ ხერხს მიმართავს: სანამ ადგილიდან დაიძროდეს, ქსელს რამდენჯერმე თვითონ შეანძრავს. ცხადია, ქსელის ძაფები იმ მხარეზეა უფრო დაჭიმული, სადაც მწერი გაბმული. ამ ხერხით ობობა თითქმის ყოველთვის შეუცდომლად იგებს, თუ სადაა ბუზი გაბმული და პირდაპირ იჭითვენ მიასურებს.

* *

ვინც ფუტკრის ცხოვრებას ცოტათი მაინც დაჰკვირვებია, მისთვის ცხადია, რომ ეს მწერი მიზანშეწონილი ქცევით ჭიანჭველას არ ჩამოუვარდება. აღმშენებლობაში ხომ ფუტკრები შესანიშნავი „მათემატიკოსები“ არიან. აღმშენებლობის გარდა, თვით შრომაც მათემატიკურად აქვთ განაწილებული, რათა მოკლე დროში, რაც შეიძლება, მეტი თაფლი შეაგროვონ.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთის ერთ მხარეში ძალიან გამრავლდნენ თაფლის დიდი მოყვარული ერთგვარი ღამის პეპლები, რომლებიც სკებში შედიოდნენ და ფიჭას ანადგურებდნენ. ამ გარემოებამ ფუტკრები ძალიან შეაშფოთა. ისინი არასოდეს არ შეჰყროდნენ პირისპირ ასეთ მტერს. ფუტკრებმა დიდხანს ვერ მოიშორეს თავიდან ეს დაუბატიყებელი სტუმრები და ბოლოს შემდეგ ხერხს მიმართეს: საფრენები დინდგილათი იმდენად დაავიწროეს, რომ მხოლოდ თვითონ შეეძლოთ შეძრომა.

ამის შემდეგ პეპლები იძულებული შეიქნენ რმ არემარეს მოშორებოდნენ, მაგრამ როდესაც ორი თუ სამი წლის შემდეგ პეპლები კვლავ გაჩნდნენ, ფუტკრებმაც ისევ ამ ნაჯად ხერხს მიმართეს.

* *

ყვეით ჩვენ საკმაო შემთხვევები მოვიყვანეთ ცხოველთა ცხოვრებიდან მათი მოხერხებისა და გონიერების შესახებ, მაგრამ მათ არა აქვთ აზროვნების, განზოგადობებისა და გეგმის შედგენის უნარი, რაც მხოლოდ ადამიანს გააჩნია. ცხოველების ქცევა ზოგ შემთხვევაში

ინსტიტუტური ხასიათისაა, ზოგჯერ კი თანშობილი ან ინდივიდურად შექმნილი რეფლექსური შოქმედების შედეგია.

ნორვეგიაში, როდესაც ტელეგრაფის ბოძები პირველად დაასვეს და მათეულეებში ელექტროდენის ზუზუნის მოისმა, დათევბს ალბათ „ეგონათ“ ბოძები ფუტკრით არის სავსეო: ბოძებს ძირის გამოთხრა დაუწყეს და ბევრი წააქციეს კიდეც, კოდალებმა „ალბათ იფიქრეს“: ბოძებში მწერები ფუსფუსებენო და მთელი დღეებით თავდაუზოგველად ნისკარტსა სცემდნენ. ასე, რომ ცოტა ხნის შემდეგ ბოძებო ყოველმხრივ ამოღრუტნული აღმოჩნდა. ამ გაუგებრობას, რასაკვირველია, ნელ-ნელა ბოლო მოეღო: ცხოველები „დარწმუნდნენ“, რომ ბოძებში მათი საკბილო არაფერი მოიპოვებოდა და თავი მიაწებეს. ცნობილია, რომ კრუხი ხელოვნურ კვერცხებს ისეთივე გულმოდგინებით აზის, როგორც თავის საკუთარს.

ობობას რომ ქსელში გახვეული საკუთარი კვერცხები გამოვაცალათ და მის მაგიერ დამრგვალებული ბამბის ნაფლეთი დავუდოთ, იგი ისეთსავე „მზრუნველობას“ გამოიჩენს ბამბის ნაფლეთისადმი როგორც საკუთარი კვერცხებისადმი.

ზოგიერთი ლოკოკინა თავის ნიჟარის გამოსაძრომს ზამთრობით ჰხურავს ერთგვარი ლორწოიანი სითხით, რომელიც ჰაერზე მაგრდება და სადაფისებურ ნივთიერებად იქცევა. ამგვარად თავდაცულ ნიჟარაში მოკალათებული ლოკოკინა ზამთრის სიცივეს ადვილად იტანს. გაზაფხულზე იგი ამ სახურავს გახვრეტს; თუ შეატყო რომ საკმაოდ თბილა, გაზაფხულის ცხოვრებას შეუდგება, თუ არა და სახურავს კვლავ ამოჭუტავს, მაგრამ ზოგიერთ ლოკოკინას ასეთი უბედურება შეემთხვევა ხოლმე: გამოსაძრომს ისეთ მაგარ სახურავს გაუკეთებს, რომ გაზაფხულზე იმის გახვრეტას ვეღარ ახერხებს და თავისსავე სადგომში იხრჩობა.

ერთმა ბუნებისმეტყველმა შემდეგი საინტერესო ცდა მოახდინა მწერებზე: ზაფხულში, როდესაც ძალიან ცხელოდა, ფარდულის სახურავს კუბრი წაუსვა. სიცხისაგან კუბრი, რასაკვირველია, გაღხვა და სახურავი წყალივით ლაპლაპებდა, ცოტა ხნის შემდეგ აუარებელმა მწერმა დაიწყო მოფრენა. სახურავი მწერებმა ალბათ წყლად მიიჩნიეს, ზედ აჯდებოდნენ და ეწებებოდნენ. შუადღისას სახურავი მთლად დაფარული აღმოჩნდა მწერებით, რომელთაგან 90% წყლის ბალღინჯო იყო, დანარჩენი კი წყლის სხვადასხვა მწერი.

II. ცხოველების „მოხერხება“

ცხოველთა შორის, როგორც თავდაცვის საშუალება, ძალიან გავრცელებულია თავის მომკვდარუნება, თუმცა ზოგიერთი ცხოველი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ამ ხერხს საჭმლის მოპოვების მიზნითაც მიმართავს ხოლმე. მწერები სახიფათო შემთხვევაში უფრო ხშირად ამიმართავენ თავის მომკვდარუნებას, განსაკუთრებით ხოჭოები, ობობები, კია-მატლები და სხვანი. მწერი თუ მოულოდნელად მტერს წააწყდა ანდა უცაბედად რაიმე საეჭვო საგანს შეეხო, უცებ გაჩერდება, ფეხებს მოიკეცს და უძრავად გდია, სანამ საშიშროება არ გაივლის. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მწერს ორგვარი შესაძლებლობა აქვს სიცოცხლის შენარჩუნებისა: ერთი რომ ასე უმოძრაოდ დაგდებული მწერი სულ ადვილად შეიძლება დარჩეს მტრისაკან შეუმჩნეველი და მეორე—მტაცებელი ცოცხალ საკბილოს უფრო ეტანება, ვინემ მკვდარს.

* *

ერთ მაიმუნს კისერზე ჯაჭვი ება. ჯაჭვს ბოლოზე ჰქონდა რგოლი, რომლითაც ჯაჭვი ჩამოცმული იყო ბაბუჯის ბოძზე. მაიმუნს თავისუფლად შეეძლო ბოძზე ასვლა-ჩამოსვლა და მართლაც იგი, როგორც ხეებზე ბობლიალის მოყვარული, უჭეტეს ნაწილად ბოძის კენწეროზე ჯდებოდა.

როგორც კი ყვავები მაიმუნს ბოძზე მჯდომარეს დაინახავდნენ, ზოქთან მიფრინდებოდნენ და ჯამში დარჩენილ საჭმელს შეუჭამდნენ. მაიმუნმა დიდხანს უთმინა ყვავებს ასეთი თავხედობა, ბოლოს გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა. ბოძზე მჯდომმა თავი მოიავადმყოფა, თვალები დახუჭა და თავი გვერდზე გადაავლო. მერმე ბოქიდან ნელ-ნელა ძირს დაეშვა, მიწაზე გაიშლართა და თავი მოიმკვდარუნა, ყველაფერი ეს ისე ოსტატურად შეასრულა, რომ ყვავებს მაიმუნი მართლა მკვდარი „ეგონათ“ და მოტყუდნენ კიდევ: ჯამთან უშიშრად მიფრინდნენ, მაგრამ პირველად მიფრენილ ყვავს მაიმუნმა ხელი სტაცა, საცოდავი ფრინველი ცოცხლად გაბდგნა და ჰაერში აისროლა. დანარჩენი ყვავები მისცივიდნენ მაიმუნის მსხვერპლს და ამხანაგი სასიკვდილოდ დაკორტნეს.

* *

ერთი სახლის მახლობლად სპილო იყო ხეზე მიბმული. სპილოს პატრონმა იქვე ახლოს ცეცხლი გააჩაღა და საშიოდე შრინჯის ლავაში გამოასტო, ლავაშებს ბალახები დაათარა, ზევიდან ქვები დააწყო და წავიდა. სპილომ ხორთუმით ჯაჭვი შემოიხსნა, ლავაშები გამოიღო და შეჭამა. ფოთლები და ქვები კი თავის რიგზე დატოვა. თანაც, პატრონს რომ ვერაფერი შეემჩნია, ჯაჭვი ფეხზე შემოიხვია. როდესაც პატრონი დაბრუნდა და ლავაშებს ძებნა დაუწყო, სპილო ზურგშექცეული იდგა და ცალი თვალით უყურებდა პატრონს, რომელიც განცვიფრებული თავის ლავაშებს ფოთლებში ეძებდა და ქვებს აქეთ-იქით აგორებდა.

* *

მგელს განმარტოებით ცხოვრება უყვარს. უმეტეს ნაწილად იგი სულ მარტოდმარტო დაძრწის. მხოლოდ ზამთრობით შიშილი აიძულებს მგლებს ერთად შეგროვდნენ, რომ შეერთებული ძალით მსხვილფეხა ცხოველი დაიმორჩილონ. ხანდახან კი, როდესაც მგელი ცხერას ფარას უპირებს დაცემას, ხვადი მგელი ძუმგელს წამოიშველიებს ზოლმე. ასეთ შემთხვევაში ძუნგელი ფარას მიუახლოვდება და ძაღლებს შორიდან დაენახვება. ძაღლები, რასაკვირველია, მგელს დაედევნებიან, ხვადი კი ამ დროს ფარას მივარდება, ცხვარს პირს დასტაცებს და ტყისაკენ გააქანებს. თუ შემთხვევით მსხვილფეხა ცხოველზე მოუხდათ ნადირობა, მაშინ პირველობას მამალი მგელი კისრულობს, უწინ იგი გამოედევნება ცხოველს და არ მოეშვება, სანამ ძაღზე არ დაჭანცავს. ამ დროს დასვენებული ძუმგელი წამოეშველება და საკბილოს იმორჩილებენ.

* *

არც ერთ ოთხფეხ მტაცებელს არა აქვს დამსახურებული ისეთი ცუდი სახელი, როგორც მელიას. იგი უძველესი დროიდან ითვლება ეშმაკობის, ცბიერებისა და ვერაგობის განსახიერებად. მიუხედავად ასეთი ცუდი სახელისა, მელია მისი გონებამახვილობის წყალობით აღამიანს მაინც საყვარელ ცხოველად ჰყავს მიჩნეული.

დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ხალხი, რომელსაც აუარებელი ზღაპარი არ ჰქონდეს შეთხზული ამ ცხოველის ცხოვრებიდან.

კიდევ უფრო მეტი არაკი და ლექსი დაწერილა ზელიის გამჭრიახო-
ბაზე და თავხედურ საქციელზე. გაიძვერა ადამიანის მელიის სახე-
ლით მონათვლა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ყველგან.

ქვეყანაზე თითქმის არ არის ისეთი მხარე, სადაც ზელია არ
ცხოვრობდეს. ნადირობისთვის მელია უმეტესად ბნელ ღამეს
იჩრევს,—სანადიროდ გამოდის მთელი თავისი სიფრთხილით შეი-
არაღებულად.

გამოყოფს თუ არა მელია სოროდან თავს, ირგვლივ ყველაფერს
დიდხანს ათვალიერებს და, როცა დარწმუნდება საშიში არაფერია,
ფეხაკრებით გაეშურება სანადიროდ. სიარულის დროს აქეთ-იქით
იციქირება, ყველაფერს ათვალიერებს. თითოეულ საგნო ბალახსაც
კი დაყნოსავს, რომ უცაბედად თავს არ წააწყდეს რომელიმე საშიშ
მტერს. ყურადღებას აქცევს ისეთ უბრალო რამესაც კი, რომლის
წინ არც ერთი მშიშარა ცხოველი არ შეჩერდება. ხაფანგს ხომ
წარმოუდგენელი სიფრთხილით ეპყრობა! ჯერ შორიდან დიდხანს
ათვალიერებს და მიუხედავად გემრიელი მისატყუებელი ლუკმისა,
ახლოსაც არ ეკარება. მაგრამ „შიშილი მწარეაო“ ნათქვამია და
ხანდახან მელიასაც სული წასძლევს: ხაფანგზე დაგებულ ხორცის
ნაჭერს შორიდან თათით რამდენჯერმე შეეხება, მაგრამ ხაფანგი
ასე ადვილად როდი აიშლება. ხორცის სასიამოვნო სუნი კი ყნოსავს
ულიზიანებს და მელიაც ვეღარ ითმენს. თვალის დახამხამებაში ხა-
ფანგს დაახტება, რომ ხორცის ნაჭერი რაც შეიძლება უცებ მოი-
ტაცოს და გაიქცეს, მაგრამ მოქნილი ხაფანგი აიშლება და მელიას
კისერში ან ფეხებში წაეჭირება. ხაფანგში კისრით გაბმული მელია
სავსებით ემორჩილება ბედს: სულაც არ ცდილობს თავის განთავი-
სუფლებას და არც ხმას იღებს. ასეთ შემთხვევაში უმეტეს ნაწილად
იგი თავს მოიმკვდარუნებს და თუ ჯულუბრყვილო მონადირემ
მკვდრად მიჩნეულ მელიას ხელი შეუშვა, ან მიწაზე დააგდო, მელია
წამოხტება და თავს უშველის. მოხდება ისეც, რომ მელია ცალი ფე-
ხით გაებმება ხაფანგში. ასეთ შემთხვევაში იგი მოყოლებულ ფეხს
გადიღრღნის და სამი ფეხითაც კარგად მოჰკურცხლავს.

მელიის ცხოვრებაში თავის მომკვდარუნებით ყვაების ჭერა ხომ
ყველასათვის ცნობილია. ამის შესახებ ერთი ნადირობის მოყვარული
შემდეგს მოგვითხრობს: „ერთ სუსხიან ზამთარში მე და ჩემი მეგო-
ბარი სანადიროდ წავედით. თოვლი თითქმის ყველგან მუხლამდე



გეწვდებოდა. გაკაფული ტყიდან დაეინახეთ დიდი გუნდი ყვავებისა, რომელიც მაღლიდან ჩხავილით რაღაცას თავს დასტრიალებდა. ცოტა წინ რომ წაევიწიეთ, თოვლზე რაღაც შავი დაეინახეთ. თავდაპირველად ვერ გავარჩიეთ და ნეხვი გვეგონა, მაგრამ უტეხ ეს რაღაც შავი შეინძრა და ფეხზე წამოდგა. მაშინ კი ვიცანით, რომ ეს იყო მელია, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ წაბარბაცდა და წაიქცა, თითქოს კვდებო. ეს ოინი მელიამ რამდენჯერმე გაიმეორა. ბოლოს გვერდზე გაიშხლართა და ფეხები და კუდი მკვდარივით გაჭიმა. ყვავთა გუნდი, ალბათ ისეთივე მშვიერი, როგორც თვითონ მელია, ნელ-ნელა ძირს დაეშვა, როდესაც მტაცებელმა მოსპრობა შეწყვიტა, ერთი უფრო მშვიერი და გამბედავი ყვავი უკანდან მიფრინდა და კუდზე კორტნა დაუწყო. მელია სულაც არ ინძრეოდა. ამით გათამამებული მეორე ყვავი თავთან დასკუპდა და თვალების ამოკორტნა დაუბირა. მაშინ კი მელია თვალის დახამხამებაში წამოხტა, ფრინველი პირში იგდო, მახლობელ ღობის ძირში მოარბენინა და ასე ეშმაკურად დაჭერილი ყვავი არხენინად შეახრამუნა“.

ქალაქ ნიუ-იორკის (ამერიკაშია) მახლობლად მცხოვრებ ერთ მემამულეს ღამით მელია საქათმეში შეეპარა. ქათმებით ისე გაძღა, რომ ხერელში ვეღარ გაეტია. დილით პატრონმა მტაცებელს საქათმეში მიუსწრო. ფეხის ხმის გაგონებაზე მელიამ თავი ისე ოსტატურად მოიპყვდარუნა, რომ მემამულეს იგი მართლა მკვდარი ეგონა. კუდით გარეთ გამოათრია და სანაგვე ორმოში გადაისროლა, მაგრამ მობრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ მელია წამოხტა და მახლობელი ტყისაკენ მოჰკურცხლა.

* *

სუსხიანი ზამთარია. მონადირეები თავისი ძაღლებიანად ნადირობიდან დაბრუნდნენ და ცეცხლს მიაშურეს. ძაღლები მონადირეებზე ნაკლებ როდი ცდილობენ, როგორმე ცეცხლის პირას მოხერხებული ადგილი დაიჭირონ და სიცივისაგან დამზრალი ძვლები ცოტათი მაინც გაითბონ. რასაკვირველია, ახალგაზრდა ძაღლებმა, ბებრებს წინ გაუსწრეს და ცეცხლის პირას მოიკალათეს. ბებრებმა კარგად იციან, რომ ცეცხლზე გათბობას დიდხანს ვერ ეღირსებიან და ხერხს მიმართეს: მოუახლოვდნენ თუ არა სახლს. განგებ საშინელი ყფვა

ატეხეს. ახალგაზრდა ძაღლები თავისი გამოუცდელობით გარეთ გამოცვრდნენ. ბებერმა ძაღლებმა ამით ისარგებლეს, ახალგაზრდებს სახლში შეასწრეს და ცეცხლს შემოუსხდნენ. ახალგაზრდა ძაღლები მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. ცეცხლს ბევრი უტრიალეს, მაგრამ, რომ ვერას გახდნენ, საცოდავი წკმუტუნნი მორთეს.

ერთ გემზე მეზღვაურებს ძაღლი და ღორი ჰყავდათ. ეს ცხოველები ისე იყვნენ დამეგობრებული, რომ საერთო ჯამიდან სჭამდნენ. ხშირად გემბანზე ერთად წვებოდნენ და მზეზე თბებოდნენ. ამით სრულ მეგობრობას მხოლოდ ერთი გარემოება უშლიდა ხელს. საწოლი ბინა იმდენად პატარა ჰქონდათ, რომ ერთად ვერ თავსდებოდნენ და დაღამებისას, ვინც უწინ შეასწრებდა შიგ, ბინაც იმას ეკუთვნოდა მთელ ღამეს.

ერთ საღამოს ზღვას ღელვა დაეტყო. ღორმა ღია გემბანზე თავი უშიშრად ვერ იკრძო და საწოლ ბინას მიაშურა, მაგრამ ბინა მის მეგობარ ძაღლს ადრიანად დაეკავებინა და არხეინად ეძინა. ღორმა ბევრი იჭყვირა, მაგრამ ძაღლი ყურსაც არ იბერტყავდა, ეტყობოდა თავს ძალიან კარგად გრძობდა და ბინის დათმობაზე სულაც არ ფიქრობდა. ბოლოს ღორმა შემდეგ ხერხს მიმართა: ჯამს პირი დაავლო, ბინის ახლოს მარბენინა და ძაღლს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს საკმელს შეეჭკეოდა, პირს ათქლაფუნებდა და სიამოვნებით ღრუტუნებდა. ხმაურობაზე ძაღლი წამოხტა და ჯამთან მიიზბინა. ღორსაც ეს უნდოდა: სანამ ძაღლი ჯამში პირს ჩაჰყოფდა და დარწმუნდებოდა, რომ მოტყუებული დაჩჩა, ღორი საწოლზე არხეინად გაიშხლართა.

ძაღლი ეზოში დაწოლილა და ძვალსა ჰხრავს. ხიდან მშიერი ყვავი ჩამოფრინდა და მოშორებით დასკუბდა: უნდა როგორმე ძაღლს ძვალი გამოსტაცოს და აქეთ-იქით უტრიალებს, ძაღლი კი ღრენით იგერიებს. ყვავმა შეატყო, რომ მარტო ვერას გახდება და ჩხავილი მორთო. ჩხავილზე მახლობელი ხიდან მეორე ყვავი ჩამოფრინდა და ძაღლის უკან დაფრინდა. ძაღლი ყვავებს ყურადღებას არ აქცევს და ძვალს არხეინად ახრამუნებს. ახლად ღოფრენილი ყვავი ძაღლს უკანიდან მიეპარა და ზურგში. ნისკარტი ღონივრად ჩასცხო. გამწარებული ძაღლი წამოხტა და უკან მიიხედა, მაგრამ ყვავის კვალიც კი არსად ჩანს. ამასობაში მეორე ყვავმა ძვალს

ნისკარტი დასტაცა, მახლობელ ხეზე შეფრინდა და მეგობართან ერთად გემრიელ ლუქმას შეექცა. ხახამშრალი ძაღლი ჩვევიდან შესცქერის და ამაოდ უყუფს ამ ქურდბაცაცებს, რომლებიც ზევინდან დაცინვით თავს დასჩხავიან კიდევ.

* *

ფრინველებიც ზოგიერთ სახიფათო შემთხვევებში მიმართავენ ხოლმე თავის მომკვდარუნებას. ბალახში მოკალათებულ ოფოფს, თუ მოულოდნელად მტერი თავს წაადგა. იგი ასეთ შემთხვევაში უცებ მიწაზე განიართება, ფრთებს გაშლის, ნისკარტსა და ბოლოს კი ზევით აიშვერს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ოფოფი კრელი ჩვრის ნაფლეთს უფრო წაავს, ვინემ რომელიმე სულიერ არსებას და მართლაც ხშირად რჩება შეუმჩნეველი მტრისაგან.

* *

მტაცებლობაში არც თევზები და ქვემძრომნი ჩამოუფარდებიან ოთხფეხ ცხოველებს და ფრინველებს. ზვიგენსაც უყვარს ხანდახან ფრინველებით პირის ჩაგემრიელება და ძალიან ახირებულ ხერხს მიმართავს იმათ დასაჭერად. ეს ღორბუცელა თევზი თავის მომკვდარუნებით ფრინველების ქერაში მელიასაც კი არ ჩამოუფარდება.

აგერ ზვგენი ზევით ამოცურდა, წყლის ზედაპირზე გაწვა და თავი მოიკვდარუნა. ფრინველები, დაინახეს თუ არა წყალზე მოტივტივე ლეში, ხარბად მისცვივდნენ და ზედ დასხდნენ. როდესაც ფრინველები ბლომად დაგროვდნენ, თევზმა ბოლოდან ნელ-ნელა წყალში ჩაქირვა დაიწყა. ფრინველები შეუმჩნეველად თავისაკენ მიიწვივეს; ცოტა ხნის შემდეგ ფრინველები თითქმის ყველანი პირთან შეგროვდნენ. ამ დროს თევზმა უცებ პირი დააღო და უგნური ფრინველები თავის გაუმადლარ მუცელში გაგზავნა.

* *

აზიის ზოგიერთ ადგილებში ცხოვრობს ერთგვარი ხვლიკი, რომელსაც თავზე ორი მოქნილი მოწითალო უღვაში აქვს. უღვაშები მოყვანილობით ძალიან ჰგავს ყვავილებს. ამით სარგებლობს ხვლიკი და უღვაშებს მწერების მისატყუებლად ხმარობს. მთელი ტანით სილაში ჩაეფლობა ისე, რომ სილიდან მხოლოდ უღვაშები

მოჩანს: როგორც კი მწერები მიუახლოვდებიან ამ ვითომდა ყვაველ-
ლებს, ხვლიკი პირს დასტაცებს და გადასანსლავს.

* *

ობობა მწერებზე ნადირობის დროს დიდ ეშმაკობას იჩენს: ქსელ-
ში გაბმულ ბუხს უცებ როდი მივარდება. სანამ მწერი ქსელში კარ-
გად არ გაეხევეა და ძალზე არ მოიქანცება, ახლოსაც არ ეკარება,
რადგან მტერთან შებმა სახიფათოა და საკბილოს შორიდან უთვალ-
თვალებს. თუ მტერი ღონიერი გამოდგა და ობობამ შეატყუო, რომ
მის დამორჩილებას ვერ შესძლებს. მაშინ თვითონ ეხმარება და
მსხვერპლს ქსელიდან ათავისუფლებს: გემრიელი ლუკმის დაკარგვას
აძჯობინებს, ოღონდ კი საეგებიო და სახიფათო რამ თავიდან
აიციდინოს.

III. ცხოველთა დამკვირვებლობა და წამება

მეცნიერი ტენეტი მოგვითხრობს, რომ სპილოები ჭეჭა-ქუხილის
დროს ტყიდან მინდორს მიაშურებენ ხოლმე და იქ ხეების მოშორე-
ბით დგანან, სანამ ელვა და ქუხილი არ შეწყდება. ეტყობა ამ ცხო-
ველებს კარგად აქვთ შემჩნეული, რომ ხეებს მეხი ხშირად ეტანება
და მაშასადამე ხის ქვეშ დგომა სახიფათოა.

* *

მელიის დაკვირვების შესახებ, ერთი მონადირე თავის თვალით
ნახულს შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: „ერთ ფიჭვზე ძერას ბუდე
ჭჭონდა გაკეთებული. ცოტა მოშორებით გადაჭრილი ხის ძირი იყო.
ნადირობიდან დაბრუნებული ძერა ხის ძირზე დაჯდებოდა და შემ-
დეგ ბუდესთან მიფრინდებოდა. (საზოგადოდ ფრიაველებს ასეთი რამ
სჩვევიათ: ნადირობიდან დაბრუნებული ფრინველი პირდაპირ ბუ-
დესთან იშვიათად მიფრინდება, მტერმა რომ არ შეაჩინოს და ბუ-
დეს არ მიუგნოს—ჯერ მახლობელ ხეზე ან ცოტა მოშორებით დაჯ-
დება, არემარეს დაათვალიერებს და, როცა დარწმუნდება რომ სა-
შიში არაფერია, ბუდესთან მიფრინდება). ცბიერმა მელიამ ეს შე-
ამჩნია, ტყიდან გამოცუნცულდა, ხის ძირს შემოუარა და ზედ შეჯ-
და, იქიდან ძირს ჩამოხტა და რაღდენიმე ნაბიჯის მოშორებით
გამხმარი ფოთლების გროვაში აწვა. შემდეგ ისევ ხეზე შეხტა და

კვლავ ძირს ჩამოხტა. ეს ვარჯიშობა მტაცებელმა რამდენჯერმე გაიმეორა და ბოლოს ფოთლებში ჩაიშალა. ცოტა ხნის შემდეგ მოფრინდა ძერა და ნაჩვევ ადგილზე დაეშვა. მაგრამ ხის ძირზე ფეხების დაკარებაც კი ვერ მოასწრო: მელიამ წინდანწინ ნაცადი ნახტომი გააკეთა, ძერა პირში იგდო და ტყისაკენ გააქანა⁴.

* *

ერთი მონადირე ნადირობიდან დაბრუნებისას ძაღლებს ფარდულში შერეკავდა და იქ გობით საჭმელს დაუდგამდა. ერთხელ მონადირემ შემთხვევით ფარდულში შეიჭვრიტა და დაინახა, რომ გობში ვირთხები ჩასულან და ძაღლებთან ერთად გემრიელ საჭმელს შეეჭყევიან. მონადირემ მოიღომა იმათი დახოცვა და მეორე დღეს გობი ისეთ მოხერხებულ ადგილას დადგა, რომ თოფის ერთი სროლით შეიძლებოდა ვირთხების გაყლეთა. ძაღლები, რასაკვირველია, ფარდულში არ შეუშვია, თვითონ კი თოფით ხელში ჭუჭრუტანიდან უდარაჯებდა. ვირთხები სოროდან ხშირად გამოყოფდნენ თავს და ეშმაკურად ასრიალებდნენ, თითქოს რალაცას ათვ ლიერებენო, მაგრამ გობს არც ერთი ახლოსაც არ ეკარებოდა. მონადირეს ლოდანი მოსწყინდა და სადგომში ძაღლები შეუშვა. ვირთხები მაშინვე გამოძვრნენ და ძაღლებთან ერთად ჭამას შეუდგნენ.

* *

ყანჩას ნადირობის ამბავი ალბათ ბევრს მკითხველთაგანს ექნება გაგონილი. ეს ფრინველი საოცარ სიმტკიცეს იჩენს თ: ვზაობის დროს: მთელი საათობით ცალფეხზე გაქვავებულივით დგას წყალში და გულმოდგინედ უთვალთვალებს საკბილოს. ირგვლივ თევზები დაუშრავენ, დაფუსფუსებენ, მაგრამ ყანჩა თავსაც არ ანძრევს. იგი გულგრილად უცქერის თევზების ნავარდობას, —საეგებობდ არასოდეს საკბილოს თავს არ დაეცემა. იგი მოთმინებით უცდის თევზის სწურველ მანძილზე მიახლოებას, რომ ნისკარტის ერთი დაკვრით იგი პირში იგდოს და გადასანსლოს.

* *

ფუტკარი რომ ძალიან კარგად ერკვევა შეხვედრილ დაბრკოლებებში ეს ყველასათვის ცნობილია, ამის დასამტკიცებლად ერთი ბუნებისმეტყველი შემდეგს მოგვითხრობს: ზაფხულში, როდესაც ძა-



ლიან ცხელა, სკაში ჰაერი იმდენად თბება, რომ ფუტკრებს სუნთქვა უძნელდებათ. ასეთ შემთხვევებში ფუტკრები ჰაერის გასაგრილებლად შემდეგ ხერხს მიმართავენ: დაეწყობიან რამდენიმე წყებად სკის სიმაღლეზე და ფრთების ჩქარის ფრიალით მოჰყაფთ ჰაერი მოძრაობაში, სანამ სკაში სასურველი სიგრილე არ დადგება, რაც ფიჭებსაც დადნობიდან იფარავს. ამავე დროს გარეთ საფენთან ჩამწკრივებული ფუტკრები ასეთივე ხერხით სკაში ჰაერის განახლებას ხელს უწყობენ.

* *

ცხოველებში მიმბაძველობით ყველაზე უფრო ცნობილია მაიმუნი. მიმბაძველობით დაჯილდოებული მაიმუნი, მოხვედბა თუ არა საცხოვრებლად ადამიანთა შორის, ჰუდამ იმის ცდაშია, რომ როგორმე ისე მოიქცეს და ყველაფერი ისე მოიმოქმედოს, როგორც ამას სჩადიან მის ირგვლივ მცხოვრებნი. ქვევით მოყვანილი შემთხვევები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად განვითარებულია ამ ცხოველებში მიმბაძველობის ნიჭი.

საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის ცირკში ორი მსახიობი წაიჩხუბა და ერთმანეთი დუელში გაიწყვიეს. შეურაცხყოფილე მა ერთმანეთს დამბაჩები ესროლეს და დააცდინეს, ასე რომ იმათი ჩხუბი შერიგებით და გადაკოცნით დამთავრდა. ამ ამბის მაყურებელი იყო ორი მაიმუნი. მაიმუნები ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ და მშვენივრად ჰქონდათ შესწავლული სროლა, ვინაიდან იმათი წარმოდგენაში მონაწილეობა გამოიხატებოდა დამბაჩებიდან ნიშანში სროლა. მაიმუნებმაც თავიანთი დამბაჩები გამოიტანეს, რამდენიმე ნაბიჯით ერთმანეთს გაშორდნენ და ერთსა და იმავე დროს დამბაჩები გაისროლეს. როდესაც ხმაურობაზე მსახურმა ცირკში შეიბრძინა, ორივე მაიმუნი მკვლარი დაუხვდა: ერთს ტყვია თავში მოხვედროდა, მეორეს კი გული ჰქონდა განგმირული.

მაიმუნების ასეთ მიდრეკილებაზეა დამყარებული ამ ცხოველების დასაჭერად. მოგონილი ზოგიერთი ახირებული ხერხი. მაიმუნებზე მონადირე გადის მინდვრად, თან მოაქვს ორი ჭურჭელი: ერთი წყლით და მეორე რაიმე წებოვანი სითხით სავსე. მონადირე წყლით პირს დაიბანს და უკან ბრუნდება, მინდორში კი სტოვე ს წებოვანი სითხით სავსე ჭურჭელს. მაიმუნები სინარულით მიცვივდებიან მინდორში განგებ მიტოვებულ ჭურჭელს და ადამიანივით იწყებენ პი-



რის ბანას, ცოტა ხნის შემდეგ თვალები ეწებებათ და მონადირეებს უფარდებიან ხელში. მეორე ამდაგვარივე ხერხი კიდევ უფრო ახირებული და სასაცილოა. მონადირე გადის მინდვრად და იქ იწყებს ყელიანი წალების ჩაცმას. შემდეგ უკან ბრუნდება, მინდორში სტოვებს მეორე წყვილ წალებს, რომელშიც ფისია გამოვლებული. მაიმუნი მიდის და ადამიანის საქციელის მიბაძვით გატაცებული ფისიან წალებს ფეხებზე ჩამოიცვამს. წალები, რასაკვირველია, ფეხებზე ეკვრება და მაიმუნი გაქევის ველარ ახერხებს. ადამიანს კი ასეთი გასართობით მოტყუებული მაიმუნის დასაქერად ბევრი გარჯა აღარ სჭირდება.

ერთი მეცნიერი ორანგუტანგის წამბაძველობის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მე და ჩემი ერთი ღრმა მოხუცი მეგობარი ვესტუმრეთ ჩვენს კარგს ნაცნობს მოშინაურებული მაიმუნის სანახავად. მოხუცის ჩაცმულობამ და ტანადობამ ისე დაინტერესა მაიმუნი, რომ ერთი წუთითაც თვალს არ აშორებდა. პატრონის ბრძანებას მშვენიერად ასრულებდა. თანაც მოხუცს აკვირდებოდა. როდესაც წასვლა დავაპირეთ, მაიმუნი მოხუცს მიუახლოვდა, ხელიდან ჯოხი გამოართვა და ცალი ხელით ზედა დაებჯინა, შემდეგ წელში მოილუნა და ოთახში შემოიარა. ამის დანახვაზე ჩემი თანახლები მოხუცი წარმომიდგა მთელი მისი ტანადობით და მოძრაობით“, დასძინს ამის მნახველი მეცნიერი.

ერთ მღვდელს ჰყავდა პატარაობიდან აღზრდილი ორანგუტანგი. მაიმუნი პატრონს ისე დაუმეგობრდა, რომ სადაც არ უნდა წასულიყო, თან უნდა დაჰყოლოდა. მღვდელი იძულებული იყო ეკლესიაში წასვლისას მაიმუნი ოთახში დაემწყვდია. ერთხელ მაიმუნმა როგორღაც მოახერხა ტყვეობიდან თავის გათავისუფლება და პატრონს ეკლესიაში გაჰყვა: იქ ორღანოზე შეჯდა და სულგანაბული იყო წარს დასრულებამდე. მაგრამ როდესაც მოძღვარი ქადაგებას შეუდგა, მაიმუნმა ისე საუცხოოდ დაუწყუო მიბაძვა ყოველგვარ მის მიხერა-მოხერას და ხელების მოძრაობას, რომ მლოცველებმა თავი ვეღარ შეიკავეს და სიცილი წასდით. მღვდელმა ასეთი უწყესო საქციელისთვის მსმენელებს შენიშვნა მისცა. მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს მლოცველებს დაწყევლით დაემუქრა. მაშინ ერთი მეგობართავანი მივიდა მღვდელთან და მლოცველების სიცილის მიზეზი აუხსნა: მაიმუნის დანახვაზე მღვდელს თვითონ გაეცინა. ეკლესიის მსახურმა

დიდი გაჭირვებით გაიყვანა გარეთ მიმბაძველობით გატაკებული და ეკლესიაში წესიერების დამრღვევი ცხოველი.

* *

ფრინველებში მიმბაძველობით ყველაზე შესანიშნავია თუთიყუშო. ეს ფრინველი დიდი გულმოდგინეობით უგდებს ყურს ადამიანის ლაპარაკს და ხშირად რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას, რომ უკეთ დაიმახსოვროს იგი. თუთიყუშში ლაპარაკს ახალგაზრდობაში უფრო ეჩვევა, ვინაიდან ამ დროს უფრო მეტი მახსოვრობა აქვს. ერთ მეცნიერს ენახა თუთიყუში, რომელმაც ზებირად იცოდა მთელი სიმბოლო სარწმუნოებისა.

* *

მიმბაძველობის ნიჭი განსაკუთრებულად განვითარებული აქვს ამერიკულ შაშვს „დამცინავს“. ამ ფრინველს შეუძლია მიბაძვა თითქმის ყველა ფრთოსანთა ხმის, სულ პაწია ჩიტუნიდან დაწყებული თვით არწივამდე.

მეტად სასაცილოა ამ ფრინველის ახირებული საქციელი: ჯერ დაიწყებს სხვადასხვა ფრინველების მოწოდებითი ხმის მიბაძვას და, როდესაც წვირღფება ფრინველები ბლომად შეგროვდებიან, უცებ მორთავს არწივისებურ ყვირლს. ამის გაგონებაზე საცოდავი ფრინველები შიშით გულკახეთილები აქეთ-იქით გაიფანტებიან.

მექსიკელები ამ შაშვს ოთხასხმიან ფრინველს ეძახიან. ჩვენს ქვეყანაში მიმბაძველობის ნიჭით ცნობილი არიან შაშვი, კაჭკაჭი და ჩხიკვი.

IV. სისუფთავის მოყვარულობა

ორანგუტანგის ჯიშის მაიმუნები სისუფთავის დიდად მოყვარულნი არიან. ერთი ამ ჯიშის მაიმუნთაგანი, რომელიც მოთავსებული იყო სამხეცეში, მთელი დღე ტანის დასუფთავებით იყო გართული, გალიაშიც საუცხოოდ ჰქონდა დაცული სისუფთავე: გალიიდან ჯერ ნაგავს გამოხვეტდა და შემდეგ იატაკს ჩვრით მოსწმენდა ხოლმე. ეს მაიმუნი ყოველ დღეც პირსაც ისე იბანდა, როგორც ადამიანი.

* *

ცხოველებში სისუფთავის ყველაზე უფრო მოყვარული მაჩვია. ეს ცხოველი ხშირად თავის საყვარელ შვილებსაც კი გამოორქვს გარეთ, რომ ბინაში სასურველი სისუფთავე დაიცვას; სისუფთავის დაცვა კი დედალი მაჩვის მოვალეობას შეადგენს. საწოლი ბინის მახლობლად იგი თხრის განსაკუთრებულ ორმოს, რომელშიც მაჩვები ჰყრიან საჭმლის ნარჩენს. ეს, ასე ვთქვათ, თავისებური სანაგვე ორმოა.

დედალი მაჩვი საუცხოო დიასახლისია. იგი მთელი დღე გართულია ბინის დასუფთავებით და დალაკებით. შვილებს ძალიან ცოტა ხანს ითმენს, და, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. წამოიზრდებიან თუ არა, გარეთ გამოორქავს. დედა იშვიათ შემთხვევაში აძლევს შვილებს თავისი ბინის მახლობლად დაბინავების ნებას და ისიც მხოლოდ პირველი წლის განმავლობაში. მოზობლები იძულებულს ჰხდიან შვილებს საკუთარი ბინა გაიკეთონ.

მაჩვი სისუფთავისთან ერთად ნებივრობის მოყვარულიც არის, სოროს ჩამდენიმე სასულე (სანიაგო) აქვს დატანებული ჰაერის გასაწმენდად. საწოლი ბინა მოფენილია ხავსით და ფოთლებით, რომ მაჩვს როდესაც კი მოესურვება თავისუფლად და რბილად შეეძლოს მოსვენება.

მელიას შემჩნეული აქვს, რომ მაჩვი სისუფთავის მეჭისმეტი მოყვარულია და ბუნაც კარგად აქვს მოწყობილი. იგი ხშირად ატოვებინებს მაჩვს მზამზარეულ ბინას: მიეპარება მაჩვს სოროსთან და გამოსაძრომს განავალით გაუბინძურებს ხოლმე. ამას მელია სჩადის ყოველდღე. სანამ მაჩვი არ მიატოვებს თავის ბინას და ახალს არ გაიკეთებს: მიტოვებულ სუფთას და ხალვათიან ბინას მელია ეპატრონება.

* *

ციყვიც ძალიან მოყვარულია სისუფთავისა: ბინიდან გარეთ გამოჰყრის ყოველგვარ ნაჯავს, რაც კი შემოხვევით შიგ ჩაუცვივდება და შვილებსაც ისე სუფთად ენახავს, როგორც კაი გამზრდელი. ციყვს ძალიან უყვარს თავის თავს სისუფთავეც: ხშირად კატასავით ზის მხეზე და პირს იბანს, შემდეგ მთელ ტანს ილრკავს, სანამ სასურველად არ დაისუფთავებს.

* *

მცოდნე პირები გვარწმუნებენ, რომ ვირიც დიდი მოყვარულია სისუფთავისა, — ამ მხრივ ვირს ბევრი ოთხფეხი ცხოველი ვერ შე-

ქდრებო. იგი იშვიათად ამოგორდება ცხენივით ტალახში ან წყალში. ვირი, ისე როგორც კატა, ძალიან ერიდება ფეხების დასვრას და თუ შესაძლებელია, ყოველთვის გვერდს უვლის ტალახს.

* *

კატის სისუფთავე ხომ ყველასათვის ცნობილია: მთელ თავისუფალ დროს იგი ტანის დასუფთავებას ანდომებს: თათით ჰირს იბანს და შემდეგ მთელ ტანს ენით ისუფთავებს. ყველას ექნება ნახული, თუ რა უსიამოვნებას განიცდის კატა, როდესაც ფეხები ძალა-უნებურად ტალახში დაესვრება: მთელი საათობით იწმენდს დასვრილ თათებს და ვერ მოისვენებს, სანამ სასურველად არ დაისუფთავებს.

* *

ფრინველებში სისუფთავის ყველაზე უფრო მოყვარული შაშვიან არის ერთგვარი ჯიშის შაშვი, რომელიც დააპურებს თუ არა ბარტყებს, ზის ბუდის ნაპირას და უცდის, სანამ ბარტყები საჭმელს მოინელებენ. ბარტყებს მოუნდებათ თუ არა გარეთ გასვლა, შვილები დედას ბოლოს მიუშვებენ, დედა განავალს ნისკარტით იჭერს და ძირს აგდებს, რომ ამგვარად ბუდეში სისუფთავე დაიცვას.

* *

ფუტკრების ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო თვისებათაგანი სისუფთავის მოყვარულობაა: მუშა ფუტკრები ყოველდღე ასუფთავებენ სკის ფსკერს ყოველგვარი სიბინძურისაგან. ხშირად მოხდება რომ სკაში ლოკოკინა შეხობდება და იქ არხეინად მოიკალათებს. თავდაპირველად ლოკოკინას ასეთი თავხედობა ფუტკრებს ძალიან შეაშფოთებს, მაგრამ როგორც კი გონს მოვლენ, მისცევივდებიან და სიციხლეს გამოასალმებენ, თანაც ცდილობენ ლორწოში არ ამოიხუპნონ. შემდეგ, რადგანაც ლოკოკინის გარეთ გამოთრევა იმათ ძალ-ღონეს აღემატება, დინდგილათი დაასამარებენ, რომ ლეში არ გაიხრწნეს და ფუტკრები სუნმა არ შეაწუხოს.

ფუტკართა ცხოვრების საუკეთესო მცოდნე მეცნიერი რეომიური ასეთი შემთხვევის მნახველი იყო: ბაღის კაი მოზრდილი ლოკოკინა თავის ნიჟარიანად როგორღაც სკაში შეხობდა და კედელზე მიმაგრდა. ფუტკრებს ეს, რასაკვირველია, ძალიან არ მოეწონათ, მაგრამ ნიჟარაში გახვეულ დაუპატიჟებელ სტუმარს აბა რას დააკლებდნენ.

ყუტრებმა ამ შემთხვევაში მართლაც რომ საოცარ საშუალებას მიმართეს: ადგენ და ნიჟარა ნაპირებით კედელზე დინდგილათი მიამაგრეს და ლოკოკინა სამუდამოდ დაატყვევეს.

ასეთი ბედი ეწვევა თავუნასაც, თუ იგი მოისურვებს სკაში თავის შეყოფას. თუ დინდგილათი დასამარება არ უშველის და თავი მინცი ხრწნება. მაშინ ლეშა ნაკუწ-ნაკუწად დაჰკლვჯენ და გარეთ გამოჰყრიან, ასე რომ სკაში მხოლოდ თავის ჩონჩხიღა რჩება.

V. აღმშენებლობა

ცხოველთა ცხოვრების დაკვირვებიდან ვიცით, რომ ზოგიერთი ცხოველი, როგორც მაგალითად: თახვები, მაჩვები, მელიები და სხვები... იშენებენ ძალიან მოხერხებულსა და ლამაზად მორთულ ბინას. ცხოველთა შორის აღმშენებლობაში ცნობილი არიან თახვები. მეცნიერი ბროკი მოგვითხრობს, რომ ამ ცხოველებს უყვართ ერთად ცხოვრება და თუ კი პირობები ხელს უწყობთ, შეერთებული ძალით აშენებენ მთელ სოფლებს, სადაც თითოეულ „ოჯახს“ საკუთარი ქოხი აქვს მიჩენილი, „ქოხებს“ აგებენ მდინარის ან ტბის ნაპირას. უმეტეს ნაწილად მასალად ხმარობენ ქერებებს და ჯოხებს, რომელსაც ამაგრებენ ერთიმეორეზე შლამით, სილით, მიწით და თიხით. გარეგანი შეხედულებით ქოხები წარმოადგენს აქა-იქ უწესრიგოდ გაფანტულ მიწის გროვებს, სიმაღლით დაახლოებით ოთხ მეტრამდე და ძალიან ჰგავს ესკიმოსების და აფრიკის ზოგიერთი ველურების სამოსახლოს. თითოეულ ქოხს ორი განყოფილება აქვს: ერთი „საკუჭნაო“, მეორეში კი „ოჯახია“ მოთავსებული. შუა ალაგას მრგვალი საწოლი ბინაა სიმაღლით ერთი მეტრი, განით კი ორ მეტრამდე. საწოლი მოფენილია ხის ბურბურხელათი და სიცივისაგან დაფარულია სქელი კედლებით. საწოლიდან გარეთ გაშოსავალი გზა მიწაშია გათხრილი და წყალშია გაყვანილი ისეთ სიღრმეზე, რომ ზამთრობით ყინულმა ვერ ამოჭუტოს. თახვების აღმშენებლობაში ყველაზე შესანიშნავია წყლის შესაგლბებელი ჯებირები, რომელსაც თახვები აგებენ სწორედ ისე, როგორც დაბელოვნებული ინჟინრები. ჯებირებს აგებენ იქ, სადაც წყალი დაბალია, რომ შეტბორებულ წყალში შესძლონ თავისუფლად ნაეარდობა. ჯებირები გაკეთებუ-

ლია წყლის მიმდინარეობის სიძლიერის მიხედვით. თუ მდინარე ნელია, ჯებირი ნაპირიდან პირდაპირ არის გაწყვანილი და თუ წყალი ღონიერად სცემს, ჯებირიც რკალისებურია, სწორედ ისე როგორც ეს ხუროთმოძღვრებაშია მიღებული. რაც შეეხება ჯებირების სიდიდეს, ეს დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე. ამერიკელი მეცნიერის მორგანის გამოკვლევით, ზოგიერთ შემთხვევებში ჯებირების სიგრძე 200 მეტრამდეა, განიკი დაახლოებით 6 მეტრს უდრის. ერთხელ გაკეთებული ჯებირი ბუნებრივად თანდათან განიერდება, რადგან ჯებირი იჭერს ხის ტოტებს, შლამს და სილას, რომელიც მდინარეს თან მოაქვს. ჯებირების გაზაგრებას ხელს უწყობს აგრეთვე მცენარეულობა, რომელიც ჯებირებზე აღმოცენდება, როდესაც წყალი დაკლებულია, განსაკუთრებით კი გვალვების დროს.

ჯებირებისათვის მასალა თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა: ხის ტოტები და ჭერებები, უმეტეს ნაწილად ტირიფის, თხმელის და ალვის ხისა; ჯებირის შუაგულს ავსებენ, როგორც ეს საზოგადოდ მიღებულია. ქვებით, სილით, შლამით და თიხით.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მონადირეთა დაუნდობლობის წყალობით, ეს ცხოველი თანდათან ისპობა. ამავე დროს მონადირეთათვის თავზე ნადირობა ყველაზე უფრო ხელსაყრელია: ამ ცხოველის ტყავი ძველთაგან ცნობილია როგორც საუკეთესო ბეწვიანი და ძვირადღირებული ფასობს. ამასთან ერთად თავის ხორციც გემრიელია.

* *

მიწაში მცხოვრებ ცხოველთაგან ბინის გაკეთებაში ყველაზე მეტ გონებამახვილობას იჩენს მუდო. იგი განსაკუთრებით მოხერხებულად იწყობს თავის ბუდეს ანუ საწოლს. საწოლი მოთავსებულია გარედან მიუღწეველ ადგილას, ხის ფესვებში ან შენობის კედლის ქვეშ, უმეტეს ნაწილად მუდმივ სანადირო ადგილებზე დაშორებით. მუდო სანადირო ხერხელებს თანდათან ამრავლებს და ერთიმეორეს უერთებს. ხერხელებიდან ზევით ამოყრილი მიწის გროვების მიხედვით შეგვიძლიან წარმოვადგინოთ ვიქონიოთ ამ ცხოველის სანადირო ადგილის მიმართულებასა და სიგრძეზე.

მუდო მეტისმეტად ღორმუცელა ცხოველია. იგი სანადირო ხერხელებს მუდამ აფართოებს და ამიტომ თავის ქვესკნელ სამეფოში განუწყვეტლივ შრომობს. მუდო ფხვიერ მიწაში საოცარი სისწრაფით

მუშაობს და ისე ჩქარა გარბი-განმორბის და მოძრაობს ხერხელებში, როგორც თევზი წყალში. ამბობენ, რომ მიწაში მისი მოძრაობის სიჩქარე უღრის ცხენის სირბილს. მუდო ღუშაობის დროს მიწას წინა ფეხებით თხრის, ხოლო უკანა ფეხებს თითქმის უმოძრაოდ მიათრევს. მისი საწოლი ბინა მრგვალია და მოფენილია ხავსითა და ჩალით. აქედან ყოველის მხრივ გაყვანილია ხერხელები. რასაკვირველია, მუდოსთვის მიწაში საჭიროა ჰაერი და წყალი. ბინაში ჰაერი ჩადის მიწის ზედაპირზე ამოყვანილი ხერხელებიდან, რომელიც დაფარულია ზევით ამოყრილი მიწის გროვებით. წყლისათვის კი მუდოს გაყვანილი აქვს განსაკუთრებული ხერხელები მახლობელ გუბეში ან ღელეში და თუ ასეთები მახლობლად არ მოიპოვება, იმ შექთხვევაში მუდო თვითონ თხრის ორმოებს (ჭებს) წყლის ჩასადგომად.

* *

მაჩვიც როულ საცხოვრებელ ბინას იკეთებს. მისი სორო სიგრძით რვა მეტრამდეა და ოთხიდან რვამეტრამდე გამოსავალი აქვს. ბინის უმთავრეს ნაწილს აქაც საწოლი შედგენს. საწოლში შედის რამდენიმე დერეფანი. ეს განყოფილება იმდენად ვრცელია, რომ შიგ გამართულია ხავსით მოფენილი დიდი ლოგინი დედალ-მამალი მაჩვისათვის და განსაკუთრებული საწოლი ბინა შეიღებისათვის. იმ აუარებელი ხერხიდან, რომელიც გაყვანილია საწოლი ბინიდან, მარჯ მხოლოდ რამდენიმეს ხმარობს თავისუფალ დროს გასასეირნებლად, დანარჩენები კი დანიშნულია ამ ცხოველის მდიდრულად შორთულ ბინაში ჰაერის გასაწმენდად.

* *

ცბიერი მელიაც სოროს წინდახედულად იკეთებს. მელიის სორო უმეტეს წილად სამი განყოფილებიდან შედგება. წინა ბინა „საყარაულოა“, შემდეგი — „საკუჭნაო“, მესამე კი, უფრო ღრმა, თავდასაცავი და დასასვენებელი. აქვე დედალი მელა ჰშობს და ზრდის შვილებს.

* *

ციყვის საცხოვრებელი ბინაც საინტერესოა თავისი ხუროთმოძღვრებით. ციყვი ბინას ხის ფულტუროში ან თვით ხეზე იკეთებს. თუ ციყვმა მოხერხებული ფულტურო ვერ მოსძებნა, ამ შემთხვევაში იგი

ხეზე ნამდვილ სახლს იშენებს: გამხმარი ფიჩხებისაგან ჯერ კედლებს ააგებს, გვერდით შეაჯავალ კარს დაუტოვებს, ზეიდან კი ტოტების სახურავს უჭეოებს. შიგ ჯერ ბალახს მოაგებს და მერმე ფოთოლს და ხაყს მოაფენს, რომ საწოლი რაც შეიძლება რბილი და თბილი იყოს. საცხოვრებელი ბინის მახლობლად „საკუჭნაოსაც“ იშენებს. ეს ცხოველი, როგორც ცნობილია, დიდად მოყვარულია თხილის, კაკლის, რკოსი და სხვა ასეთების. ამათაგან უფრო ძწიფეს და საღს გადაარჩევს და საზამთროდ ინახავს თავის საკუჭნაოში. გლეხებს და მონადირეებს ხშირად უნახავთ ციყვის „საკუჭნაოში“ რვიდან თორმეტ კილოგრამამდე უმეტეს წილად გადარჩეული თხილი და კაკალი. ციყვი საზამთროდ სოკოსაც კი ინახავს. საინტერესოა ამ შემთხვევაში ციყვის მოხერხება: იბოვნის თუ არა სადმე სოკოს, მაშინვე ხის კენწეროზე აარბენინებს, რომ ვერავინ მისწვდეს და იქ გამხმარ ტოტზე წამოაგებს. როდესაც სოკო კარგად გაბმება, ციყვი მას „საკუჭნაოში“ ინახავს საზამთროდ.

* *

რაც შეეხება ფრინველებს, დაკვირვებიდან ვიცით, რომ უმეტეს წილად ბუდეს დედალი აკეთებს, მამალი კი მასალას უზიდავს, თუმცა ზოგჯერ პირაქითაც ხდება. არის ასეთი შემთხვევებიც: დედალი რომ ბუდეს აკეთებს, მამალი მახლობლად ზის და მომუშავე მეუღლეს თავისი ჟღერტულითა და გალობით ართობს.

ბუდის აღმშენებლობაში ხნიერი ფრინველები სჯობნიან ახალგაზრდებს, ვინაიდან უფრო გამოცდილები არიან. ფრინველები ბუდისათვის მასალას ირჩევენ თავისი გემოვნებისა და შექმნილი პირობების მიხედვით. ბუდეს მუდამ ერთსა და იმავე მასალისაგან როდი აგებენ. როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ამის შესახებ მნახველები შემდეგს მოგვითხრობენ: ერთ კოლუმბურს სამი დღის განმავლობაში სამჯერ გადაუკეთებია თავისი ბუდე. ჯერ ჩაუგია შიგ მატყლი, მეორე დღეს ბამბა, მესამედ კი ბამბა ამოუყრია და საბოლოოდ უპირატესობა ღინღლისათვის მიუცია.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფრინველს ბუდისთვის სრულიად მისთვის უცნობი მასალაც კი უხმარია. ერთ მოლალურს ბუდე ქალაღის ლენტის ნაგლეჯებისაგან გაუკეთებია. ქალაღის ლენტი,

რომელსაც მორზეს აპარატზე ხმარობენ ტელეგრაფში. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი შრომა გაუწევია მასალის მოზიდვაში ამ ფრინველს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უახლოესი სატელეგრაფო განყოფილება ამ ახირებული ბუდისგან სამი კილომეტრით ყოფილა დაშორებული.

როგორც ვიცით, ქალაქი კარგად იფარავს სიცივისაგან და არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ამ ფრინველის საქციელი მეტად მიზანშეწონილია, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას მეორე ფრინველზე, რომელმაც თავის ბუდეს საძირკველად საათის ზამბარები ჩაუდგა მახლობელი ქალაქიდან მოტანილი, სადაც აუარებელი საათის სახელოსნო იყო თურმე. ერთი სიტყვით, ბუნებას ფრინველთათვის სრული არჩევანი მიუნიჭებია ბუდის გაკეთებაში.

ინდოეთში არის პატარა ჩიტი, რომლისთვისაც ბუდის ახირებული საშუალებით კეთებისა გამო ბუნებისმეტყველთ „თერძი“ დაუჩქმევიათ. ეს ჩიტი ბუდისათვის ირჩევს წვრილ ყუნწზე ჩამოკიდებულ ხის ფოთოლს: ფოთლის ნაპირებს ნისკარტით დასჩხვლეტს და შიგ გაშხმარი ბალახის ღეროს გაუყარს; ნაპირებს ნელ-ნელა მოსწევს და ერთმანეთს მიაკრებს. ამგვარად შეკერილი ფოთლის ბუდე მოგვაგონებს ხის ტოტზე ჩამოკიდებულ მწვანე პარკუჭას; მას თერძი-ჩიტუნა ზოგიერთი ყვავილების ნაყოფის ღინღლით შუამდე ამოავსებს, რის შექდეგაც უკვე მზადაა მსუბუქი და მოხდენილი ბუდე.

ფრთოსანთა შორის ბუდის აღმშენებლობაში და ბარტყების გამოჩეკვაში ყველაზე საოცარია ავსტრალიის დიდფეხა ანუ ბუჩქის ქათამი. ეს ფრინველი კვერცხებს თვითონ როდი აჯდება. ბარტყების გამოსაჩეკად იგი აკეთებს სწორედ ისეთსავე სათბურს, როგორსაც მებღეები აკეთებენ ადრე გაზაფხულზე გადასარგავი სანერგეების აღმოსაცენებლად. კვერცხების დადებამდე, რამდენიმე კვირით წინ დედალ-მამალი დიდფეხა ფეხებით აგროვებენ გამხმარ ფოთლებს, ფიჩხებს და სხვა დასალპობ მასალას. როდესაც გროვის სიმალლე დაახლოებით $1-1\frac{1}{2}$ მეტრს მიაღწევს, შუა ალაგას ორმოს გააკეთებენ და შიგ 40 სანტიმეტრის სიღრმეზე დედალი კვერცხებს ჩასდებს. კვერცხებს ბოლო, საიდანაც ბარტყები იჩეკებიან, ზევით აქვს მოქცეული.

დედალი დიდფეხა თითქმის ამით ათავებს თავის მშობლიურ მოვალეობას. შემდეგი ზრუნვა კი მამალს აქვს დაკისრებული. იგი

კვერცხებს ზევინან ფოთლებს და ფიჩხებს გადააფარებს, შუა ადგილას პატარა ჭუჭრუტანას დაუტოვებს სუფთა ჰაერისათვის და სიცხეში ზედმეტი სითბო რომ არ დაგროვდეს. თუ ძალიან ცხელა, მაშალი ამ ბუდე-სათბურს დღეში ორჯერ-სამჯერ თავს სრულიად გადახდის, კვერცხები რომ არ შეხურდეს. აზგვარი მასალისაგან გაკეთებული ბუდე მასალის ღვობის შედეგად ნელ-ნელა თბება და ბარტყებიც თავისთავად იჩეკებიან.

* *

მწერებში აღმშენებლობით ცნობილი არიან ჭიანჭველები. ეს მხნე და შრომისმოყვარე მწერები ყოველგვარ სამუშაოს თავის მაგარი ყბებით ასრულებენ. ეს არის იმათი ერთადერთი იარაღი, რომლითაც ისინი მიწას თხრიან, ბალახებს და წნელებს სჭრიან, და ყოველგვარი ტვირთი გადააქვთ.

თავდაპირველად ჭიანჭველების ერთი ჯგუფი მიწაში ორმოს ამოსთხრის, სხვები ბუდის ასაშენებელ მასალას ეზიდებიან. მოთხრილი მიწა ზევით ამოაქვთ და გროვებად ჰყრიან. ორმოდან გაჰყავთ დერეფნები, აგებენ მრავალსართულიან ოთახებს, აწყობენ დედალი ჭიანჭველებისა და ბარტყების ბინებს და სხვა. ერთი სიტყვით ჭიანჭველების ბინის გაკეთება ისეთივე რთული და მრავალფეროვანია, როგორც ერთ ოჯახში მცხოვრები ჭიანჭველებს შრომა.

ბინის შუაგულში, სადაც უფრო თბილა, მოთავსებულია საბარტყო. აქ არის ჭიანჭვილების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელსაც გამდელების მოვალეობა აქვთ დაკისრებული. როდესაც თბილა, გამდელებს კვერცხები და ჭუპრები ზევით ამოაქვთ. აცივდება თუ არა ან დაღამდება, ყველაფერ ამას კვლავ თბილ ბინაში მიათრევენ. არიან აგრეთვე ჭიანჭველა-ბებიები. ესენი ბარტყებს ჭუპრებიდან გამოძრომის დროს ეხმარებიან და შემდეგ სხეულსა და ფრთებს უსწორებენ. როგორც კი ახლადგამოჩეკილები სინათლეს იხილავენ, ისინი მაშინვე გადაჰყავთ მათთვის დანიშნულ განსაკუთრებულ ბინაში.

ამ მწერთა სამეფოში შრომის სრული განაწილებაა და თუ მხედველობაში მივიღებთ თითოეული ჭიანჭველის მხრივ დაკისრებული მოვალეობის მუდამ პირნათლად შესრულებას, არავისთვის გასაკვირი არ იქნება, რომ მათ შორის სრული თანხმობა სუფევს. ზოგ მათგანს აღმშენებლობა აქვს დაკისრებული, ზოგს საჭმელის მოპოვება და დამზადება, ზოგი „სამხედრო ბეგარას“ ეწევა. არიან აგრეთვე ზელე-


ზის, ბალების და მინდვრების მეთვალყურეანი, „ძროხების“ მწველელნი და სხვა. ჭიანჭველებს „საწველ ძროხებად“ ჰყავთ მცენარის ტილი, რომელიც ამ მწერების საუკეთესო საჭმელს შეადგენს.

* *

თევზები ძალიან ცოტას ზრუნავენ თავიანთ შთამომავლობაზე, ამიტომ ბუდესაც მხოლოდ ზოგიერთები იკეთებენ. არის ერთგვარი თევზი, რომელსაც „ჩხვლეტიას“ უწოდებენ, იმიტომ, რომ ზურგზე ნემსივით წვეტიანი სამიოდე ძვალი აბია. ამ თევზის ბუდე მოყვანილობით ძალიან ჰგავს ხელების სათბურს (მუფთას), რომელსაც ქალები ზამთრობით ხმარობენ, ასე, რომ ბუდეში წყალი თავისუფლად გადის. ბუდის გაკეთება, ქვირითის მოვლა და შემდეგ შვილების თვალყურის დევნება მამალს აქვს დაკისრებული. დედალი თევზი კი მშობლიურ მოვალეობას მხოლოდ კვერცხების დადებით ამთავრებს.

მამალი მუდამ ბუდეს თავს დასტრიალებს და მტაცებლებისაგან კვერცხებს თავგამოდებით იცავს. თუ წყალი დამდგარია, მამალი დროგამოშვებით დადგება ბუდის თავთან ან თვით ბუდეში და გვერდის ფეხების ჩქარი ფრიალით წყალი მოძრაობაში მოჰყავს ბუდეში. ახლადგამოჩეკილებს მამალი თევზი ისე უფლის, როგორც კრუხი წიწილებს და მხოლოდ მაშინ ანებებს თავს, როდესაც შეატყობს, რომ პაწიები წამოიზარდნენ და თავის მოვლას თვითონვე შესძლებენ.

კიდევ უფრო ახირებულ ბუდეს იკეთებს მეორე თევზი, რომელიც გალილის ტბაში ცხოვრობს. ამ თევზის ბუდე ბურთივით მრგვალ ბადეს ჰგავს, ეს თევზი მასალად ხმარობს, ბალახს. ფოთლებს და ზღვის სხვადასხვა მკენარეს. ყველაფერი ეს ისე ოსტატურად არის ერთიმეორეში გადახლართული, რომ ახლადგამოჩეკილ თევზებს ბუდიდან გამოძრომა არ შეუძლიათ, შიგ კი თავისუფლად დანავარდობენ. როდესაც მშობლები შეატყობენ, რომ შვილები წამოიზარდნენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას შესძლებენ, მამა ან დედა ბუდეს არღვევს და პაწიებს ტყეობიდან ათავისუფლებს. მშობლები ცოტა ხანს კიდევ ადევნებენ თვალყურს შვილებს, მერმე კი მათ სამუდამოდ ანებებენ თავს.



VI. მატოქეობა

ყველას ექნება ნახული, თუ როგორ იქცევა ძალდი, როდესაც მისი პატრონი სხვის ძალს, ან სხვა ცხოველს ეალერსება: ძალდი დახტის, წყმუტუნებს, ჰყეფს და ხშირად „მოთმინებიდან გამოსული“ ჰკმენს კიდეც თავის მეტოქეს. ერთის სიტყვით, ძალდი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, ოღონდ კი პატრონის ყურადღება როგორმე თვითონ მიიპყროს.

ცხოველებს რომ მოფერება სიამოვნებას ჰგვრის ამას გვიმტკიცებს იმათი თვალების გამომეტყველება, კულის ქნევა და მთელი ტანის მოძრაობა, როდესაც იმათ ვინმე ეფერება და ეალერსება. ასევე იქცევიან მაიმუნები სამხეცეში: საკმარისია ერთ მათგანს მოეფეროთ, რომ იმავე გაღიაში მყოფმა მაიმუნებმა თავები წამოაჰყონ და მანჭვა-გრეხით შეეცადონ თქვენი ყურადღების მიპყრობას.

თუ სადამდე შეუძლია მიაღწიოს ცხოველში „მეტოქეობის გრძნობამ“, ეს ჩანს ქვევით მოყვანილი შემთხვევიდან.

თბილისში, 90-იან წლებში, — ერთ სამხედრო პირს ორი საუცხოო ცხენი ჰყავდა. ცხენები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას დოღში და ერთ მათგანს, რომელსაც „ტრიუმფს“ ეძახდნენ, რამდენიმე წლის განმავლობაში მიღებული ჰქონდა ჯილდოდ 50.000 მანეთამდე. ერთხელ ეს ცხენები გამოიყვანეს დოღში მონაწილეობის მისაღებად „ტრიუმფი“ წინ მიდიოდა, უკან კი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, მეორე ისეთივე საუცხოო ულაყი — „ასხაბადი“.

წინ ცხენები ერთიმეორეზე დაშორებული იყვნენ, ასე რომ ერთმანეთს ვერც კი ხედავდნენ. ვაიარეს თუ არა ცოტა მანძილი, „ასხაბადმა“, რომელსაც თავლიდან გამოსვლისთანავე რალაც „აღელვება“ ეტყობოდა, ველარ მოითმინა, მხედარი ძირს გადმოაგდო და თავის მეტოქეს მივარდა. რასაკვირველია, ვერც „ტრიუმფის“ მხედარმა შეიმავრა თავი და ისიც გადმოვარდა. ცხენებს შორის „სამ ვდრო-სასიციოცხლო ბრძოლა“ გაჩაღდა. გააფთრებული ცხენები ერთმანეთს აღარ ზოგავდნენ; არც ფეხებით და არც კბილებით, ასე რომ იმათი გაშორება შეუძლებელი შეიქნა: ეტყობოდა შეტაკება ერთ-ერთის დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო და ასედაც მოხდა: „ტრიუმფისაგან“ მავთულებიან ლოხესთან მიმწყვედელი „ასხაბადი“ წაიქცა და მისი ბედიც გადაწყდა. გახარებული „ტრიუმფი“ დააცხრა წაქცეულ

მეტოქეს, დაუწყო ფეხებით ცემა და ხორცის გლეჯა. გამარჯვებულის მოშორება მხოლოდ მაშინ შესძლეს, როდესაც მეტოქე უძრავად ეგდო და სულს ლაფავდა. მისი მორჩენა შეუძლებელი შეიქნა და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოკვდა.





რედაქტორი: ნ. ძიძიშვილი.

ტექნორედაქტორი: ან. ლვინიაშვილი.

გადაეცა წარმოებას 3/IX—47. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI—17
საავტორო ფორმათა რაოდენობა 4 ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 4. ზე 12667
შეკვეთის № 1149 ტირაჟი 5000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომ-
ცემლობების საქმ. სამმ. 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

8360 7 836.

4550

39

23/1/15

Н. АБЗИАНИДЗЕ

КАРТИНЫ ИЗ МИРА ЖИВОТНЫХ

(На грузинском языке)

Министерство Просвещения ГССР

Детюниздат

Тбилиси 1947